პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

ცენტრალური და ტფილისის
კომიტეტის
და სრ საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—53.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

წლის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე [illegible]—1 მან. 60 კ. [illegible] 90 კ.; ქალაქს გარეშე მცხოვრ. [illegible] 1 მან. განცხადება 20 კ. [illegible] ნომპარელის სტრიქონი. სამ-[illegible] განცხადება 5 მან. [illegible] განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 4 საათ·

№ 54 (909) ხუთშაბათი, 6 მარტი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 54 (909)

დ ღ ი უ რ ი

— საბჭოთა ფულის ნიშნები გამოსყიდული იქნება 25 მარტამდე.

— საბჭოთა რუსეთში მოელიან პურის კარგ მოსავალს.

— ინდოეთში მოელიან ამბოხების [illegible].

— მაკდონალდისადმი [illegible] პუანკარე აცხადებს, რომ მას შეუძლებლად [illegible] ოლქიდან ჯარების გაყვანა.

— ოსმალეთის მეჯლისმა ხალიფატის გაუქმების გამო წინადადება მისცა ხალიფს დასტოვოს ოსმალეთის ტერიტორია.

საქ. ახკომკავშირის ცეკა

8 მარტს

იწვევს გაფართოებულ პლენუმს

სამაზრო და საოლქო კომიტეტების მდივნების თანადასწრებით.

1. მოხსენება შინაპარტიულ მდგომარეობის შესახებ.
2. პრეზიდიუმის მოხსენება.
3. სააგიტ. საპროპაგანდო მუშაობის შესახებ.
4. ს. ა. კ. კ. სამაზრო კონფერენციების შესახებ.
5. კომკავშირის სამხედრო მუშაობა.
6. კომკავშირში მუშა ახალგაზრდობის მიღებისა და კომპარტიაში კომკავშირის წევრების გადარიცხვის შესახებ.
7. სხვადასხვა.

საქ. ახკომკავშირის ცეკას მდივანი: დევდარიანი.

მეურნეობის აღორძინება და ფულის რეფორმა

ფულის რეფორმა შესაძლებელი ხდება იმ წინასწარ პირობების არსებობის გამო, რომლებიც მომზადდენ დღემდი.

პირველყოვლისა ამისათვის საჭირო ერთგვარი დონე მიწათმოქმედების, მრეწველობის და ტრანსპორტის აღდგენისა, განსაზღვრულ მინიმუმადი დაყვანა იმ დეფიციტის, რომელიც აუცილებელი გახდა მრეწველობისა და ტრანსპორტში აუწერელი ნგრევის პროცესის გამო და მოითხოვდა დაფარვას სახელმწიფოს საშუალებებიდან.

მეორეთ, ამისათვის საჭიროა, რომ საბიუჯეტო დეფიციტი, ე. ი. სახელმწიფო ხარჯების ჭარბობა სახელმწიფო შემოსავალზე, დაყვანილ იქნას შედარებით პატარა რაოდენობამდი და რომ ამის გამო სახელმწიფო მიუახლოვდეს იმ მდგომარეობას, როცა მას დეფიციტის დაფარვის დროს არ დასჭირდება ახალი და ახალი ფულების გამოშვება.

მესამე წინასწარი პირობის სახით, შეიძლება აღინიშნოს კიდევ ერთი. მშვიდობიან ეპოქებშიც, იმ მძიმე მემკვიდრეობის გარეშეც, რომელიც მიიღო ჩვენმა ქვეყანამ იმპერიალისტური და სამოქალაქო ომისაგან, ყოველთვის არ არის შესაძლებელი სახელმწიფო საჭიროებათა დაფარვა ჩვეულებრივი, ნორმალური შემოსავალით. ასე, მაგალითად, რომ ახალი რკინისგზის ხაზის გაყვანა [illegible] შემოსავლის ხარჯზე, მაშინ წლების და შესაძლოა ათეული წლების განმავლობაში იქნებოდა საჭირო ამ გზების გაყვანის დასრულებისათვის ლოდინი. ამ შემთხვევაში გამოსავალს იძლევა სახელმწიფო სესხი. მაგრამ განსაკუთრებულ ხარჯების გარეშეც, სახელმწიფო მეურნეობა ჩავარდებოდა ერთი გასაჭირიდან მეორე გასაჭირში, რომ მას არ ჰქონდეს საშუალება მიიღოს თანხები სესხიდან და მათ ხარჯზე არ ასწორებდეს აუცილებელ, ზოგჯერ დიდ რყევას ნორმალურ შემოსავალში, გარეშე იმისა, გამოწვეულია თუ არა ეს რყევა მოუსავლობით, სამრეწველო კრიზისით თუ კიდევ სხვა რაიმე მიზეზებით.

მაგრამ შეუძლებელია სესხისათვის მიმართვა იმ მომენტში, როცა უკვე საჭირო ხდება სასწრაფო ხარჯების გაწევა. ყოველგვარ შემთხვევისათვის, რომელთა გათვალისწინება წინდაწინ შეუძლებელია, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ერთგვარი მარაგი, ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი, პირობების მიხედვით, ლითონის ფონდი, რომელსაც შეუძლია გამოასწოროს შეუფარდებლობა აუცილებელ ხარჯებსა და ფაქტიურად შემოსულ თანხებს შორის. ოქროს ფონდი, აგრეთვე, საჭიროა მტკიცე საფუძვლის სახით ჩერვონცებისა და სახაზინო ბილეთების გამოსაშვებათ, რომლებიც მტკიცე ფულის ნიშნები იქნებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის უზრუნველყოფილია საკმაო ლითონის ფონდით.

ლითონის ფონდი გამოგველეოდა, რომ ჩვენ გვიხდებოდეს საზღვარგარეთიდან უფრო მეტის შემოტანა, ვიდრე გვაქვს: ამ შემთხვევაში განსხვავების დაფარვა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ოქროს გატანით საზღვარ გარეთ.

სინამდვილეში, უცხოეთთან სავაჭრო ურთიერთობის განახლების თითქმის პირველი დღიდან, ჩვენი სავაჭრო ბალანსი აქტიური იყო, ე. ი. საზღვარ-გარეთ ჩვენ გაგვქონდა უფრო მეტი, ვიდრე იქიდან შემოგვქონდა და ვინაიდან უცხოეთი განსხვავებას ფარავს ფულებით, ეს ფულები ხმარდებოდა ჩვენი ოქროს მარაგის გადიდებას.

ასეთია ის მნიშვნელოვანი წინასწარი პირობები, რომელთა შექმნამ შესაძლებელი გახადა ახლანდელი ფინანსიური რეფორმა.

სანამ შესაძლებელი გახდებოდა ეს რეფორმა, საჭირო დარჩა უდიდესი მსხვერპლი მუშათა კლასისა და გლეხობის მხრივ.

დიდი გაჭირვება გადაიტანეს მუშებმა და გლეხებმა რომ აღედგინათ სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და ტრანსპორტი. და დღემდი შრომის ხელფასი განსხვავდება ომამდი არსებულ ნორმისაგან, მით უმეტეს იმ ნორმისაგან, რომელიც ინდა იყოს სოციალისტურ საზოგადოებაში. და დღემდი სასურსათო გადასახადის განაკვეთები აუცილებლობის გამო უფრო მაღალია, ვიდრე უნდა იყოს ნორმალურ პირობებში. ფინანსთა სახალხო კომისარიატის პოლიტიკა უკანასკნელი წლების განმავლობაში მეტად მკაცრი და სასტიკიც კი იყო.

ყველგან სკოლების, საავადმყოფოებისა და სოციალურ უზრუნველყოფისათვის გაღებული იყო მეტად უმნიშვნელო თანხები. შრომის ხელფასის მიცემის საკითხი ვერ იყო სათანადოთ მოგვარებული და ხშირათ მისი მიცემა გვიანდებოდა. მაგრამ არ არსებულ შემოსავლით ცხოვრება იმ თანხების დახარჯვა, რომელთაც ფაქტიურად არ იძლეოდა ქვეყნის მიმდინარე სახალხო მეურნეობა—ეს იქნებოდა მიწათმოქმედებისა და მრეწველობისათვის ახალი ზიანის მიყენება, ეს იქნებოდა მათი რღვევის გაძლიერება და გაღრმავება.

სახელმწიფო სესხების გამოცემამაც აგრეთვე დროგამოშვებით მოითხოვდა მუშათა კლასისაგან მძიმე მსხვერპლს ამ საქმეს პირველ ხანებში უზრუნველყოფდა ჩამონაჭერი შრომის ხელფასისაგან, რომელიც ისედაც არ აძლევდა საშუალებას მუშებს დაეკმაყოფილებიათ თავისი ყველაზე უფრო გადაუდებელი მოთხოვნილებები.

და თვით აქტივობა ჩვენი სავაჭრო ბალანსის ხორციელდებოდა სწრაფ, მაგრამ არა საკმაოთ მტკიცე შედეგებზე უარის თქმის გზით შედარებით ნელ, მაგრამ სამაგიეროთ მტკიცე წინმსვლელობის ინტერესებისათვის. ერთის შეხედვით, ამაზე ადვილი რა იქნება: დახარჯული იქნეს ოქროს ზედმეტი რაოდენობა, რომელსაც გვაძლევს უცხოეთთან ვაჭრობა და სესხები, სამრეწველო მოწყობილების ისეთი საგნების შეძენაზე საზღვარგარეთ, რომელთა დამზადებაც, თუმცა ნელა, მაგრამ მაინც შეუძლია ჩვენს მრეწველობას. მაგრამ ეს იქნებოდა ჩვენი საკუთარი მრეწველობის შეფერხება და ისეთ მდგომარეობაში დარჩენა, როდესაც ყოველი გაუთვალისწინებელი შემთხვევითი მოვლენა ჩაშლიდა უკვე წარმოებულ მძიმე მუშაობას, რომელიც მიმართული იყო ჩვენი კავშირის აღორძინებისაკენ.

მხოლოდ ამ მუშაობამ გახადა შესაძლებელი ფულის ტრიალის იმ დიდი რეფორმის გატარება, რომელსაც ჩვენ შევუდექით. მაგრამ, თუ ეს უკანასკნელი არ იქნა გატარებული, მაშინ პირდაპირ შეუძლებელი იქნება იმ შემდეგი ნაბიჯების გადადგმა, რომელმაც უნდა გააჯანსაღოს და განავითაროს ჩვენი ეკონომიკა.

პროლეტარიატი და გლეხობა გაიგებენ ამას და მხარს დაუჭერენ იმ გადატრიალებას, რომელსაც ჩვენ ვანხორციელებთ ფულის ტრიალის სფეროში. მათი შეგნებული და ენერგიული დახმარებით, რომელიც გამომდინარეობს რეფორმის ძირითად წინასწარ პირობების გაგებისაგან, საბჭოთა ხელისუფლება განამტკიცებს, გაამაგრებს და გააფართოვებს ამ წინასწარ პირობებს და გაატარებს რეფორმას ცხოვრებაში.

„პრავდა“.

საფინანსო კითხვები

10. ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება

ადგილობრივი ბიუჯეტი სამნაირია: სამაზრო, ქალაქის და რაიონის —საადმინისტრაციო-ტერიტორიული ერთეულის მიხედვით (დროებითი დებულება [illegible] ფინანსების შესახებ [illegible] მუხ. 121). სამაზრო [illegible] და სამაზრო ქალაქის ბიუჯეტი [illegible] საფინანსო [illegible] მიერ შედგენილი, [illegible] აღმასკომის პლენუმის მიერ მოწონების შემდეგ, ყველა მისი დანართებით ეგზავნება სამ ცალად ფინსახკომის რწმუნებულს სათანადო რესპუბლიკაში, რომელიც საბიუჯეტო კომისიაში ერთი კვირის განმავლობაში დღიდან მისი მიღებისა, განიხილავს მას როგორც კანონიერების მხრივ, ისე არსებითადაც, და შემდეგ ბიუჯეტის პროექტს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს წარუდგენს. ბიუჯეტის შედგენის და განხილვის გზას ასე განმარტავს ა | კ. ფინსახკომის ინსტრუქცია, რომელსაც საფუძვლათ CCCP-ის „დროებითი დებულება“ აქვს. ამ დებულების 128 მუხლი ამბობს, რომ სამაზრო აღმასკომის განყოფილებები თავიანთ შემოსავალ-გასავლის აღრიცხვებს განსახილავად სამაზრო საფინანსო განყოფილებას გადასცემენ. ამ აღრიცხვათა წინასწარი განხილვა ევალება საბიუჯეტო კომისიას, რომელიც სამფინგანთან არის დაწესებული და რომლის თავმჯდომარედ სამფინგანის თავმჯდომარეა (მუხ. 21). აღრიცხვაში ამ კომისიას შეაქვს საჭირო შესწორებები და დამატებები, რის შემდეგ სამფინგანი ვალდებულია შეადგინოს სამაზრო ბიუჯეტის, ქალაქების და რაიონების ბიუჯეტების პროექტები ცალ-ცალკე, და აგრეთვე მაზრის ფარგლებში საერთო ბიუჯეტიც. (მუხ. 128). როდესაც ქალაქების და რაიონების ბიუჯეტები რაიონის და ქალაქის საბჭოების დასტურს მიიღებენ, მათ რაიონის და შტატს გარეშე მყოფ ქალაქების აღმასკომები დასამტკიცებლად სამაზრო აღმასკომს უგზავნიან (მუხ. 139).

ამნაირად, თანახმად CCCP-ის მიერ 1923 წ. 12 ნოემბერს მიღებულ დებულებისა, რაიონების (რუსეთში—ვოლოსტების, რაც საქართველოს რაიონებს უდრის) და შტატ გარეშე მყოფ ქალაქების ბიუჯეტებს საბოლოოთ სამაზრო აღმასკომი ამტკიცებს. უკანასკნელი უმაღლესი ინსტანცია, სადაც რაიონების და შტატს გარეშე მყოფ ქალაქების ბიუჯეტებს იხილავენ და ამტკიცებენ, მაშასადამე, არის მაზრის აღმასკომი.

მაზრის ბიუჯეტი და ბიუჯეტი სამაზრო ქალაქის მას შემდეგ, როცა მათ სამფინგანი დაამზადებს, სამაზრო აღმასკომი განიხილავს და მაზრის საბჭოების ყრილობა მიიღებს, ორივე ბიუჯეტი რაიონების და შტატს გარეშე მყოფ ქალაქების გაერთიანებულ ბიუჯეტის თანდართვით რუსეთში საბჭოთა საგუბერნიო ყრილობას ან გუბაღმასკომის საერთო სხდომას წარედგინება დასამტკიცებლად (მუხ. 141) CCCP-ის „დებულებაში“ რესპუბლიკები სრულიად არ იხსენიება, მაგრამ თავის თავად იგულისხმება ის, რომ საქართველოს რესპუბლიკის პირობებში, სადაც გუბერნიები არაა, გუბერნიის საბჭოს და აღმასკომის უფლებები სამაზრო ბიუჯეტების მიმართ რესპუბლიკის ცენტრალურ ორგანოებზე გადადის, როგორიც არიან: ცენტრალური საფინანსო უწყება, სახალხო კომისართა საბჭო და ცაკი. საბიუჯეტო საკითხები, რომელნიც რუსეთის პირობებში საგუბერნიო ცენტრებში საბოლოოთ წყდებოდა, საქართველოში, რასაკვირველია, რესპუბლიკის ფარგლებში დამთავრდება. ამიტომაც ა.-კ. ფინსახკომის ინსტრუქცია თავის პირველ მუხლში ამბობს, რომ სამაზრო ბიუჯეტი „ყველა მისი დანართებით უნდა გადაეგზავნოს სამ ცალად ფინსახკომის რწმუნებულს სათანადო რესპუბლიკაში, რომელიც... განიხილავს მას, როგორც კანონიერების მხრივ, ისე არსებითადაც, რის შემდეგ ბიუჯეტის პროექტი წარედგინება რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს“. მეორე მუხლი იმავე ინსტრუქციისა ამბობს: „ა.-კ. ფინსახკომის რწმუნებულის მიერ განხილულს და სახალხო კომისართა საბჭოში წარდგენილ ბიუჯეტს ამტკიცებს სათანადო რესპუბლიკის ცაკი“. ს. ს. ს. რ.-ის „დებულების“ 141 და 142 მუხლები ინსტრუქციის ასეთ განმარტებას სავსებით ეთანხმებიან, მხოლოდ 142 მუხლი გარდა ამისა ამბობს, რომ რწმუნებული დღიდან ბიუჯეტის მაზრიდან მიღებისა, არა უგვიანეს ორი კვირისა მაზრას უკან უბრუნებს ბიუჯეტს შესასრულებლათ.

ხსენებულ 142 მუხლს ორი საყურადღებო შენიშვნა აქვს:

პირველი—რწმუნებულს, სახალხო კომისართა საბჭოს და ცაკს ავალებს, რათა მათ ორი კვირის განმავლობაში ბიუჯეტი ან განიხილონ და დაამტკიცონ, ან თავის განკარგულებით ბიუჯეტის ძალაში შესვლა შეაჩერონ. თუ დანიშნულ ვადაში ბიუჯეტი არ იქნა ან დამტკიცებული ან შეჩერებული—რაც მაზრის აღმასკომს, რასაკვირველია, უნდა ეცნობოს,—**ბიუჯეტი დამტკიცებულად ითვლება და ძალაში შედის.**

მეორე შენიშვნაში ნათქვამია, რომ ბიუჯეტების დამტკიცების შემდეგ რწმუნებული „ასეთების, რესპუბლიკის მასშტაბში შეერთებულს ერთ მთლიან ადგილობრივ ბიუჯეტის სახით, ადგენს არა უგვიანეს ორი კვირისა დღიდან მისი დამტკიცებისა ა. | კ. ფინსახკომში ორ ცალად“.

ამნაირად **ორი კვირით ადრე ძალაში შესული ბიუჯეტი** კავშირის ფინსახკომს ცნობად წარედგინება. რაც შეეხება დეფიციტიან ადგილობრივ ბიუჯეტებს, მათ შესახებ ა. | კ. ფინსახკომის ინსტრუქციის მესამე მუხლი ამბობს: „იმ შემთხვევაში, როცა ბიუჯეტი დეფიციტიანია, სახალხო კომისართა საბჭო, რესპუბლიკის ცაკში ბიუჯეტის წარდგენამდე, თვითონ განსაზღვრავს სადოტაციო თანხას მის განკარგულებაში მყოფ იმ სადოტაციო ფონდის მიხედვით, რომელიც მას რესპუბლიკის სპეციალი საშუალებებიდან ეძლევა, ე. ი. იმ თანხიდან, რომელიც ა. | კ. ს. ფ. ს. რ. საერთო სახელმწიფო ბიუჯეტით ა. | კ. ფედერაციის ცალკე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებისადმი მიკუთვნილია“

აი, ასეთნაირად დამუშავებულ ადგილობრივ ბიუჯეტებს რესპუბლიკის ცაკი ამტკიცებს საბოლოოთ.

დ. თ.

რევოლიუციის შტაბი

იმპერიალისტური ომისაგან, მსოფლიოს ნგრევისა და რღვევის პროცესში და რუსეთის რევოლიუციის განვითარების პირველ წლებში საფუძველი ჩაეყარა რევოლიუციის შტაბს—კომუნისტურ ინტერნაციონალს. 1919 წლის მარტის პირველი რიცხვები არის აღნიშნული კომუნისტური ინტერნაციონალის პირველი კონგრესის გახსნით იმ ქვეყანაში, რომლისგანაც გასულ საუკუნეში რეაქციის რისხვა და გრიგალი ეფინებოდა მთელ ევროპას.

ახალმა პოლიტიკურმა და ეკონომიურმა კონიუნქტურამ, რომელმაც რევოლიუციის ჩქერი შენელდა დასავლეთ ევროპაში და მისი სიძლიერე გადატყორცნა აღმოსავლეთის დამონებულ ქვეყნებში, მისცა იმპულსი აზიისა და ევროპის შორის მდებარე დიდ ქვეყანას ხელში აეღო ხელმძღვანელობა ძველი წყობილების დანგრევისა ახალის სასარგებლოდ. პარიზის კომუნის შემდეგ დასავლეთმა არ იცის ძლიერი რევოლიუციონური მოძრაობა, ძლიერი რევოლიუციონური გამოსვლა. აღმოსავლეთში კი ვხვდებით რევოლიუციების მთელ სერიას, რევოლიუციების მთელ რიგს; ოსმალეთი, სპარსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, რუსეთი და სხვ. უკანასკნელ ეპოქაში რევოლიუციონური ჩქერის გამტარებელი ქვეყნებია.

ევროპის ქვეყნების იმპერიალიზმმა, რომელმაც შესძლო მსოფლიოს დაპყრობა და აზიისა და აფრიკის თეთრი და შავი მონების ამუშავება თავის სასარგებლოდ, თავის ნაციონალურ პროლეტარიატსაც შეუქმნა განსაკუთრებული პრივილეგიური პირობები. ამ პირობებმა წარმოშვა ყვითელი მუშათა წრეები, მუშათა არისტოკრატია, რომლის ინტერესთა გამომხატველად გადაიქცა მეორე ინტერნაციონალი.

მეორე ინტერნაციონალმა შესძლო ომის საფრთხის გათვალისწინება, მან ლამაზი რეზოლიუციების გამოტანაც მოასწრო ომის წინააღმდეგ, მაგრამ ომის დაწყების დროს აღმოჩნდა დიდი სხვაობა სიტყვისა და საქმის შორის. დასავლეთის ქვეყნების „სოციალისტებმა“ მხარი დაუჭირეს თავისი ქვეყნების მთავრობებს, რომ მომხდარიყო პროლეტარიატის მიერ ერთმანეთის ჟლეტა. ფინანსიური ოლიგარხიის მოგების გაძლიერებისათვის. იმპერიალისტური ომის მწარმოებელ მთავრობაში მინისტრების პორტფელები ჩაიბარეს მეორე ინტერნაციონალის წევრებმა. სამბა, ტომა და გედი საფრანგეთში, ჰენდერსონი, რობერტი და ბრეისი ინგლისში, ვანდერველდები ბელგიაში უშუალო მონაწილეობას იღებდენ მთავრობაში და აქტიურ როლს ასრულებდენ იმპერიალისტური ცეცხლის გაჩაღებაში.

მინისტრთა ინტერნაციონალი, რა თქმა უნდა, ვერ შესძლებდა მუშათა კლასის ბრძოლის ხელმძღვანელობას. საჭირო იყო ახალი ორგანიზაცია, ახალი ცენტრი საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის, რომელიც ჩამოყალიბდა დიდი რევოლიუციონერის ლენინის ხელმძღვანელობით და მისი პოლიტიკური პლატფორმით.

კომუნისტების აღმოცენების მიზეზები იმარხება დასავლეთის სოციალისტების დამარცხებაში, რაც თავისი მხრივ კაპიტალიზმის განვითარების ახალი საფეხურის—იმპერიალიზმის ნიადაგზედ მომწიფდა.

იმპერიალისტური სამშობლოს დასაცავად ამოძრავებული „რევოლიუციონერები“ და „სოციალისტები“—გერმანიაში შეიდემანი და ნოსკე, საფრანგეთში რენოდელი და ჟუო, რუსეთში პლეხანოვი, წერეთელი და კერენსკი, ინგლისში ჰენდერსონი, ავსტრიაში რენერი და ადლერი, ამერიკაში რესსელი და ჰომპერსი და სხვ. ორივე ფეხებით დადგენ ბურჟუაზიის მხარეზედ. ეს ხალხი არა თუ რევოლიუციის ხელმძღვანელთა როლის შემსრულებლად არ გამოვიდა—არამედ რეაქციის სიმტკიცის საფუძვლად აღმოჩნდა.

ცენტრისტულმა მიმართულებამაც რევოლიუცია—რეაქციის შორის ქანაობას მიჰყო ხელი, სანამ ისევ რეაქციის მტკიცე ბურჯს, მეორე ინტერნაციონალს არ დაუბრუნდა. 2 ინტ. ინტერნაციონალის სიმტკიცე, რევოლიუციის ეპოქის შინაგანმა ლოღიკამ, ძალთა დაპირისპირების ტენდენციამ და საშუალო ადგილების ბრძოლის არენად გადაქცევამ დაამსხვრია და გაანადგურა“.

მესამე ინტერნაციონალი, რომელიც ციმმერვალდში და კინტალში ჩაისახა და მოსკოვში, კრემლის დარბაზში იშვა, იქცა საერთაშორისო რევოლიუციის ჭეშმარიტ შტაბათ. მეორე ინტერნაციონალის დემოკრატიზმსა და „სამოქალაქო მშვიდობიანობის“ ლოზუნგს, მან დაუპირისპირა პროლეტარიატის დიქტატურა და იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ლოზუნგი. დამონებულ კოლონიების მორჩილების ხელის შეწყობასა და მცირე ერთა უფლებების შეზღუდვას მან დაუპირისპირა კოლონიების აჯანყებისა და მცირე ერთა განთავისუფლების პროგრამა. რეფორმისტულ და ევოლიუციონური გზის მაგივრად სოციალიზმისაკენ, მან წამოაყენა აქტიური, რევოლიუციონური თავდასხმა კაპიტალზედ და საერთოდ რევოლიუციონური ბრძოლის მეთოდთა გამოყენება კაპიტალიზმის დასამხობათ.

ამ პოლიტიკური პლატფორმით მესამე ინტერნაციონალმა შესძლო მთელი ქვეყნის დაჩაგრულ ერებთან და დამონებულ კლასებთან კავშირის გაბმა. მსოფლიო მასშტაბით ჩატარდა სოციალისტური პარტიების რღვევის პროცესი, რომლის რევოლიუციონური ელემენტები ხან სდგებიან მემარცხენე პლატფორმაზედ და შემდეგ თანდათან გადადიან კომინტერნის რიგებში, ხან კი პირდაპირ იღებენ კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმას და კომპარტიის სახელწოდებას.

რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენში სოციალისტური პარტიების დაშლის სახით, მსგავსი პროცესი ვითარდებოდა როგორც საბჭოთა რუსეთში, ისე მსოფლიოს ყველა კუთხეებშიაც.

სოციალისტის სახელწოდება, სოციალისტის ცნების შინაარსი გაირყვნა, გათახსირდა, დაჰკარგა გარკვეული აზრი და გაგება. წინ წამოიჭრა კომუნისტის სახელწოდება, კომუნისტის ცნება, როგორც უდიდესი საფრთხე და უსაშინელესი მტერი თანამედროვე სოციალური წყობილების. დღეს არც ერთ ბურჟუას, არც ერთ კაპიტალისტს და არც ერთ „უფლებრივ სახელმწიფოს“ არ ეშინია სოციალისტის. დღეს მომხდარია სოციალისტის მოშინაურება ბურჟუაზიის ფარეხში. ამიტომაც არის, რომ **ერთა ლიგა და მეორე ინტერნაციონალი** მარჯვენა და მარცხენა ხელია კაპიტალისტური სამყაროს, აღმართული სოციალისტური „საფრთხის“ წინააღმდეგ.

ამ გარემოებამ გამოიწვია ერთი მხრივ ძალთა დანაწილება, დაქსაქსვა მეორე ინტერნაციონალის ოჯახში, ხოლო მეორე მხრივ ძალთა შეჯგუფება, დარაზმვა მესამე ინტერნაციონალის ირგვლივ. ვინც არ გაჰყვა ოპორტიუნიზმის, პაციფიზმის და რეფორმიზმის ილიუზიებს, იგი დაშორდა მეორე ინტერნაციონალს და დადგა რევოლიუციონური, კომუნისტური ინტერნაციონალის რიგებში. ეს პროცესი საგრძნობი ტკივილებით, მშობიარობის უსაშინელესი განცდითა და ობიექტიური მიზეზების ზეგავლენით ჩატარდა, მაგრამ მან მოგვცა დიდი დადებითი რევოლიუციონური ძალა.

დიდი რევოლიუციონერის—ლენინის, სამარადისო ძეგლის—კომინტერნის რიგებს, დღეს ამშვენებს არა 7—8 პარტია, რომელიც კომინტერნის პირველ კონგრესზედ ღებულობდა მონაწილეობას, არამედ მილიონები მშრომელთა, რომელნიც ცხოვრობენ ევროპის, აზიის, ამერიკის და აფრიკის მიდამოებში. ლენინის სახელი, როგორც საერთაშორისო რევოლიუციის შტაბის გენერალი სიმუსის, დღეს იცის მსოფლიოს ყველა ნაწილებმა, მსოფლიოს ყოველი კუთხის მშრომელმა ხალხმა. კომინტერნის პოლიტიკური და მორალური ძალა დიდათ გაიზარდა და განმტკიცდა. ეს ძალა არის პირობა და თავდები საერთაშორისო რევოლიუციის სიმტკიცის.

ამ ათეული წლის წინეთ რევოლიუციას არ ჰქონდა არც ერთი ზარბაზანი, არ ყავდა არც ერთი ჯარისკაცი, არ ყავდა არც ერთი მძლავრი, საქმიანი და რევოლიუციონური გამაერთიანებელი ცენტრი. მიუხედავათ ამისა, ჩვენ ვართ მოწმე უდიდესი რევოლიუციის, რომლითაც კაცობრიობა ახალ ერას იწყებს. დღეს რევოლიუციას ჰყავს საერთაშორისო მოძრაობის შტაბი, გამოცდილი, დახელოვნებული, გაძლიერებული და მტკიცე, მას აქვს პროგრამა და სტრატეგია ლენინის პოლიტიკური გენიალობით ჩამოყალიბებული. მისი რეზერვუარია მსოფლიოს ერთ მეექვსედის სივრცეზედ არსებული სახელმწიფონი და მსოფლიოს ყველა კუთხეებში კომუნისტური პარტიები. დღეს რევოლიუციას ჰყავს წითელი ჯარი და აქვს სამხედრო საშუალებანიც. ყველაფერ ამით კომინტერნი შესძლებს სასიკვდილო აგონიის პროცესში მყოფ კაპიტალიზმის განგმირვას. ყველაფერი ეს უტყუარ გარანტიას იძლევა, რომ მსოფლიო რევოლიუციის შტაბი მოახერხებს დამონებული კლასის და დამონებული ერების განთავისუფლებას.

სერ. ამაღლობელი.

რადიო-ტელეგრამები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

საბჭოთა კავშირის ცნობის შემდეგ

საბჭოთა კავშირის და იტალიას შორის დადებული ხელშეკრულება მოიწონა საკავშირო მთავრობამ.

იაპონიის სავაჭრო არტელი მოითხოვს საბჭოთა კავშირის ცნობას.

ახლო ხანში განახლდება ნორმალური ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის.

საკავშირო მთავრობამ ესტონეთთან მომხდარი ინციდენტი ამოწურულად ჩასთვალა.

სავაჭრო ხელშეკრულება იტალიასთან

ხელშეკრულების მოწონება.

მოსკოვი. 5 მარტი. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ განიხილა საკითხი რუსეთ-იტალიის სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ. ხელშეკრულება იდება 8 წლით, მასში არ არის არავითარი ვალდებულება ძველი ვალების და პრეტენზიების შესახებ. ის არის დადებული ორივე მხარისათვის სასარგებლო და თანასწორ პირობებში.

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა მოიწონოს ხელშეკრულება და გაგზავნოს ის საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმში დასამტკიცებლად.

ჩვენ და ჩინეთი

ნორმალური ურთიერთობა განახლდება ახლო მომავალში.

მოსკოვი. 5 მარტი. „როსტა“-ს წარმომადგენელთან საუბრის დროს ჩინეთის წარმომადგენელმა საბჭოთა კავშირში ლიო-დზიაომ განაცხადა, რომ **ჩინეთის ხალხი გამსჭვალულია ღრმა მეგობრული გრძნობით და პატივისცემით საბჭოთა კავშირის ერებისადმი,** რომლებმაც შესძლეს **თავისი სახელმწიფოებრივი წესწყობილების ძირიან-ფესვიანად შეცვლა და უარჰყვეს მეფის წინანდელი დიპლომატიის იმპერიალისტური პოლიტიკა,** რომელიც მიმართული იყო სხვისი ტერიტორიების დაპყრობისაკენ. ლიო-დზიაომ განაცხადა: „**ეხლანდელი რუსეთის დიპლომატია გულწრფელია და გულახდილი**“.

ერთი-მეორის იურიდიულად ცნობის და ნორმალურ ურთიერთობის განახლების საკითხის შესახებ ჩინეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ **ცნობის საკითხი ახლო მომავალში გადაიჭრება და ნორმალურ ურთიერთობის განახლებას უნდა მოველოდეთ ახლო მომავალში.** მოლაპარაკება საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის გაიმართება მომავალ კონფერენციაზე პეკინში; კონფერენციის გახსნის დრო დამოკიდებულია ურთიერთ შეთანხმებაზე. ლიო-დზიაომ განაცხადა: „სამწუხარო ცნობამ დიდი, უკვდავი მოაზროვნის და სახელმწიფო მოღვაწის-ლენინის გარდაცვალების შესახებ დიდი მგლოვიარება გამოიწვია ჩინეთში“.

იაპონია

სურთ ვაჭრობა რუსეთთან.

ვლადივოსტოკი. 4 მარტი. იაპონიის სავაჭრო არტელმა ხარბინში მიიღო რეზოლიუცია იაპონიის მიერ საბჭოთა კავშირის დაუყონებლივ ცნობის შესახებ.

ესტონეთი

ინციდენტი ამოწურულია.

მოსკოვი. 5 მარტი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ესტონეთში ამხ. სტარკი თავის ნოტაში, რომელიც მიმართულია ესტონეთის გარეშე საქმეთა სამინისტროსადმი, აღნიშნავს, რომ **საბჭოთა კავშირის მთავრობა ღებულობს ცნობად მწუხარებას, რომელიც გამოთქვა ესტონეთის მთავრობამ ესტონეთის შინაგან საქმეთა მინისტრის—საბჭოთა კავშირის მოწინააღმდეგე ეიბუნდის განცხადების გამო.** ამრიგად, საბჭოთა კავშირის მთავრობა ამოწურულად სთვლის ინციდენტს.

იტალია

რუსეთის ხორბალი იტალიაში.

რომი. 5 მარტი. ბარის ნავთსადგურში მოვიდა საბჭოთა დროშის ქვეშ რუსეთის პირველი გემი ხორბლით. გემის მოსვლამ დიდი აღტაცება გამოიწვია მცხოვრებლებში. რუს მეზღვაურებს ნავთსადგურში ოვაციები გაუმართეს.

მდგომარეობა ინგლისში

ინგლისის სამხედრო ხარჯები.

ლონდონი. 4 მარტი. გაზ. „დეილი ტელეგრაფის“ ცნობით, სამხედრო გასავალის ხარჯთ-აღრიცხვაში, რომელიც ინგლისის მთავრობამ პარლამენტში წარადგინა, გათვალისწინებულია სამხედრო ხარჯების 7 მილ. გირ. სტერლინგით შემცირება წარსულ წელთან შედარებით.

მაკდონალდი გერმანიის საქმეების შესახებ.

ბერლინი. 5 მარტი. უპასუხებდა რა შეკითხვას, მოითხოვს თუ არა ბრიტანეთის დელეგატი ერთა ლიგის საბჭოში საარის ოლქიდან საფრანგეთის საოკუპაციო ჯარების გაყვანას, მაკდონალდმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ მას არ აქვს საშუალება გასცეს გადაჭრილი პასუხი. „პტი პარიზიენის“ ცნობით, მაკდონალდს განზრახული აქვს გაემგზავროს პარიზში და პუანკარესთან ერთად განიხილოს საკითხი კონტრიბუციის შესახებ, როგორც კი დასრულდება ექსპერტთა კომისიის მოხსენება.

ლორდთა პალატა საჰაერო თავდაცვის შესახებ.

ლონდონი. 5 მარტი. საჰაერო ფლოტის მინისტრმა ტომსონმა სთქვა, რომ როცა ლაპარაკია ბრიტანეთის საჰაერო ძალების გადიდებაზე, ალბათ მხედველობაში ჰყავთ საფრანგეთი. განმარტა რა მუშათა მთავრობის პოზიცია შეიარაღების საკითხში ტომსონმა სთქვა: „მთავრობა სრულიადაც არ ამცირებს მდგომარეობის საშიშროებას. კოალიციონურ მთავრობის მიერ 1922 წ. შემუშავებული თავდაცვის გეგმა ზედმიწევნით იქნება შესრულებული. მიღებული იქნება ზომები სამოქალაქო თავდაცვის გასაფართოებლად. კანონი დამხმარე და სარეზერვო საჰაერო ძალების შესახებ. ახლო მომავალში შეტანილი იქნება თემთა პალატაში. ამას ტომსონმა დაუმატა, რომ თუ კონფერენცია, რომელიც ითვალისწინებს შეიარაღების შემცირებას, ხელახლა იქნება მოწვეული მთავრობა სიამოვნებით გამოიყენებს მას.

ბურჟუაზიას შეუძლია დამშვიდდეს.

ლონდონი. 5 მარტი. თემთა პალატაში ხაზინის კანცლერმა სნოუდენმა განაცხადა, რომ მთავრობამ განიხილა კომისიის მოხსენება შემოსავლის კვალობაზე გადასახადების შესახებ და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგ ის ყოველ ძალღონეს იხმარს კანონში ასეთი ცვლილების შესატანად.

რა ხდება გერმანიაში

საკითხი რეიხსტაგის გაშვების შესახებ.

ბერლინი. 3 მარტი. სახალხო პარტიის წინადადებას სამი მაისისათვის რეიხსტაგის გაშვების და 4 მაისისათვის ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ არ დაუჭირეს მხარი დემოკრატებმა და სოციალ-დემოკრატებმა. სოციალ-დემოკრატები უარყოფითად უცქერიან პროექტს რეიხსტაგის გაშვების და ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ და მოითხოვენ მაისის შუა რიცხვებისათვის დანიშნული პარტიული ყრილობა ჩატარებულ იქნეს ახალ არჩევნებამდე.

მთავრობა შიშს გამოსთქვამს, რომ რეიხსტაგს შეუძლია ბოლოს და ბოლოს გაშვებულად გამოაცხადოს თავისი თავი, რაც შექმნის მთავრობისათვის არასასურველ საარჩევნო პირობებს. ამიტომ მას განზრახული აქვს პოლიტიკურ კამათის დასრულების შემდეგ მოითხოვოს ნდობის გამოცხადება; უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში მან უნდა გაუშვას რეიხსტაგი და დაიტოვოს ახალი არჩევნების ვადის დანიშვნის უფლება. პოლიტიკური კამათის გაგრძელება გადაიდო მომავალი კვირის შუა რიცხვამდე.

სოციალ-დემოკრატიული „თავისუფლება“.

ბერლინი. 3 მარტი. სამხედრო და საოლქო წესების გაუქმების დღეს **შინაგან საქმეთა მინისტრის ზევერინგის ბრძანებით განმარტებულია, რომ პროლეტარულ რაზმების აკრძალვა ძალაში რჩება.** კომუნისტურ და ტევტონურ პარტიებს გადაეცა წინათ დაბეჭდილი შენობები. პარტიის ცეკას და „როტე ფანე“-ს შენობებიდან წაღებულია დიდძალი ინვენტარი.

გაფიცვები.

ბერლინი. 5 მარტი. გაფიცვები და ლოკაუტები ჩრდილოეთ-გერმანიის დოკებიდან გავრცელდა როსტოკში, შტეტინში და აგრეთვე ჰამბურგშიაც.

ოსმალეთ-გერმანიის ხელშეკრულება

ბერლინი. 5 მარტი. რამოდენიმე კვირის მოლაპარაკების შემდეგ, 4 მარტს ანგორაში ხელი მოაწერეს ოსმალეთ-გერმანიის ხელშეკრულებას.

ჰიტლერის პროცესი.

ლიუდენდორფის ჩვენების პროცესი.

ბერლინი. 3 მარტი. ლიუდენდორფის სიტყვამ ჰიტლერის პროცესზე, რომელიც მიმართული იყო კლერიკალების წინააღმდეგ, დიდი მღელვარება გამოიწვია გერმანიის კათოლიკურ წრეებში. გერმანიის მთავრობამ მოითხოვა ლიუდენდორფის სიტყვის სტენოგრამა.

პორუჩიკ ვაგნერის ჩვენება.

ბერლინი. 3 მარტი. ჰიტლერის პროცესზე პორუჩიკმა ვაგნერმა თავის ჩვენებაში განაცხადა, რომ მიუნხენის ქვეითა ნაწილების სკოლა მხარს უჭერდა ჰიტლერს მხოლოდ იმიტომ, რომ **ლოსსოვმა შეჰპირდა მას გალაშქრება ბერლინზე.**

დამცველები მოითხოვენ კარის ლოსსოვის და ზეისერის დაპატიმრებას იმის გამო, რომ პოლიცია ესროდა დემონსტრანტ-ჰიტლეროველებს გაუფრთხილებლად.

„რეიხსვერის დემოკრატიზაციისაკენ“.

ბერლინი. 3 მარტი. **სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბერლინ-ბრანდენბურგის ორგანიზაციის კონფერენციამ, რომელიც გაიმართა ბერლინში, პროტესტის გამოთქვა რეიხსტაგში ნოსკეს კანდიდატურის წინააღმდეგ და მოითხოვა „რეიხსვერის დემოკრატიზაცია“. რეიხსტაგისათვის კანდიდატთა დასახელების ცდის დროს გაცხოველებული შეჯახება მოხდა მემარჯვენე და მემარცხენე სოციალ-დემოკრატებს შორის.**

ოსმალეთის ამბები

ხალიფატის გაუქმების გამო.

რომი. 5 მარტი. ოსმალეთის მეჯლისმა ხალიფატის გაუქმების გამო წინადადება მისცა დიდ ხალიფს დასტოვოს ოსმალეთის ტერიტორია.

ლონდონი. 5 მარტი. „დეილი მეილის“ კორესპონდენტი სტამბოლიდან იუწყება, რომ ხალიფი აბდულ-მეჯიდი მეჯლისის დადგენილების თანახმად გადაყენებულია და ოჯახით იგზავნება ოსმალეთის საზღვრებიდან. რეიტერის ცნობით ხალიფი ახლო-ხანში გაემგზავრება შვეიცარიაში.

სხვადასხვა ამბები

ინდოეთი

თავს შველიან.

რომი. 5 მარტი. ინგლისელი მოხელეები და ოფიცრები სამშობლოში გზავნიან ინდოეთიდან თავის ოჯახებს, რადგან მცხოვრებთა აჯანყების ეშინიათ.

რუმინეთი

წინანდებურად სდევნიან კომუნისტებს.

ვენა 4 მარტი. რუმინეთის კომპარტიის მუშაობის გაძლიერების გამო, რუმინეთის „ოხრანკამ“ დაიწყო კომუნისტების ენერგიულად დევნა. სემიგრადიაში და „ძველ რუმინეთში“ ხდება მასიური დაპატიმრება.

კომპარტიის გაძლიერებული მუშაობა.

ვენა. 4 მარტი. მომავალი ყრილობის გამო, რუმინეთის კომპარტიამ გააძლიერა მუშაობა. კომპარტიამ მოახდინა ანკეტა გლეხებს შორის მიწების დანაწილების დროს ხელისუფლების ბოროტმოქმედების გამო და გამოუშვა მოწოდება, რომელიც მოითხოვს მიწის დანაწილების მთელი სისტემის გადასინჯვას, გამოსასყიდად გადასახადების გაუქმებას და თვითგამორკვევის უფლების მინიჭებას რუმინეთში არსებულ ყველა ეროვნებათათვის.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ფასების დაწევა.

საქონლის ბრუნვის ზრდა.

მოსკოვი. 5 მარტი. სახელმწიფო ბეგმათა სამმართველოს პრეზიდიუმის სხდომაზე საკონიუნქტურო, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. გრომანმა აღნიშნა საქონლის ბრუნვის ზრდა იანვარში, განსაკუთრებით, საფეიქრო მრეწველობაში. თებერვლის შუა რიცხვებში ფასების დაწევის შესახებ გავრცელებულ ხმების გამო, შეჩნეული იყო ცოტაოდენი თავის შეკავება. ფასების შეფარდებამ სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საქონელზე ნორმალურ დონეს მიაღწია.

ფართო მოხმარების საგნებზე ფასების დაწევა.

ლენინგრადი. 5 მარ. ლენინგრადის მომხმარებელმა საზოგადოებამ დასწია ფართო მოხმარების საგნების ფასები 10 პროცენტით. ელექტრონის შუშების ქარხანა 20 პროცენტით ამცირებს ფასებს თავის ნაწარმოებზე.

ტყავეულობის ფასების დაკლება.

მოსკოვი. 5 მარტი. ტყავეულობის სინდიკატმა დასწია ტყავის საქონლის ფასები 17 პროცენტით.

სრულიად საკავშირო ჯანმრთელობის სახ. კომისართა თათბირი.

მოსკოვი. 5 მარ. სრულიად საკავშირო ჯანმრთელობის სახ. კომისართა თათბირმა მიიღო რეზოლიუცია სოფლად საექიმო ქსელის გაფართოების და სასანიტარო სამმართველოების გამგეთა პერიოდულად თათბირების მოწვევის შესახებ. დადგენილია აგრეთვე სასწრაფოდ გაფართოვდეს შავი ჭირის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილება ოდესაში.

ტრანსპორტის ხარჯების შემცირება.

მოსკოვი. 5 მარ. გზათა სახ. კომისარიატის ცენტრალურ სამმართველოების უფროსების თათბირმა გაითვალისწინა ტრანსპორტის ხარჯების შემცირება 2—3 თვის განმავლობაში, რაც სახელმწიფოს სალაროს შემატებს 14 მილიონ ოქროს მან.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

პროფკავშირთა მეოთხე ყრილობა.

ბაქო. 4 მარტი. პროფკავშირთა მეოთხე ყრილობის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. სერებროვსკის მოხსენება ნავთის მრეწველობის მდგომარეობის შესახებ. ნავთის მრეწველობის მთავარი ამოცანა ნავთის მაქსიმალურად გასაღება შესრულებულია სავსებით. 1 იანვრამდე ამოღებულია უფრო მეტი ნავთი, ვიდრე ეს იყო გათვალისწინებული პროგრამაში. ამჟამად დღის წესრიგში დასმულია მეორე ამოცანა—მივაღწიოთ ნავთის თვითღირებულების დაწევას.

სომხეთი

მებამბეთა პირველი ყრილობა.

ერევანი. 4 მარტი. მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში გაიხსნა სომხეთის მებამბეთა პირველი ყრილობა. დარბაზი სავსეა დელეგატებით, რომელნიც ჩამოვიდენ სომხეთის ყველა კუთხეებიდან. ყრილობა გახსნა მიწად-მოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. ერზინკიანმა. ყრილობას მიესალმენ ერევანის აღმასკომის, „გრახტ“-ის, „ჩიკოპ“-ის, ბამბის მთავარ კომიტეტის, სომხეთის პროფკავშირთა საბჭოს, მიწატყის მუშაკების, ტეხნიკური საზოგადოების, წვრილ კრედიტის საზოგადოების, თურქ მშრომელ გლეხობის, ფეიქართა კავშირის და სხვათა წარმომადგენლები. ლენინის ხსოვნას პატივი სცეს ფეხზე ადგომით. ყრილობის საპატიო თავმჯდომარეებათ არჩეულნი არიან: ამხ. ამხ. რიკოვი, ორახელაშვილი, მიასნიკოვი, ამბარცუმიანი და ლუკაშინი. დამტკიცებულია შემდეგი დღის წესრიგი: მებამბეობის როლი ჩვენს მეურნეობაში; „გრახტ“-ის ორგანიზაციის საფუძვლები, მისი წარსული მოღვაწეობა და მომავალი ამოცანები; მებამბეობის კოოპერაცია, მელიორაცია; მებამბეობის ტეხნიკა.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარი ამხ. ერზინკიანი. წარსული წლის 5,000 დეს. მაგივრათ, მიმდინარე წელში განზრახულია დათესილი იქნეს 16,000 დეს. ჩვენი მიზანია დათესილ ბამბის სივრცე ავიყვანოთ 50,000—55,000 დესეტინამდე.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი ტფილისში.

(6 მარტი)

ჩერვონცები — —	5.250 მილ.
ფუნტი სტერლინგ. ეფექტ.	4.805 „
„ ჩეკები —	4 680 „
დოლარი ეფექ. —	1120 „
„ ჩეკები —	1045 „
ოსმ. ქაღ. ლირა —	687 „
იტალიური ლირა —	48 „
ფრანგული ფრანკი —	45 „
საბჭ. ფულის ნიშნები —	14 „

ბიულეტენი

ა. კ. სახ. ფინკომთან არსებული კურსის დამწესებელი საგანგებო კომისია.

(6 მარტი)

1 ოქროს მანეთი 525.000 ათ.

მოსკოვის ბაზარი

(6 მარტი)

პური 1 ხარ.—47000 ათასი, პური 2 ხარ.—38,000 ათასი, ძროხის ხორცი—160,000 ათასი, ღორის ხორცი 160000 ათ. შაქარი რაფინადი 200.000 ათ., ფხვნილი შაქარი—145,000 ათ., კარტოფილი—10000

ტფილისის ბაზრის ფასები.

(6 მარტი)

პური 1 ხ.—60000 ათ., პური 2 ხარ.—40000, ძროხის ხორცი 175.000 ათ. ღორის ხორცი 175.000 ათ., შაქარი რაფინ. 220.000 ათ., შაქარი ფხვნილი 165,000 ათ., კარტოფილი 20 ათ.

ბირჟის მოთხოვნა.

კალა ინგლ., მავთული მარტენის, „ცენტროსოიუზ“-ის ჩაი; ცეილონის და ჩინეთის ჩაი, ნაწლევები (15.000 კონა), სპილენძი ფურცლოვანი, როსტოვის პაპიროსები, ტყავის ღვედები, ერევნის მატყლი (გარეცხილი), პაპიროსის ქაღალდი, ფეხსაცმელები ინგლ. სამუშაო, ყავა „მოკკო“, განჯის შაბი, იტალიური გოგირდი (ფხვნილი), „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, „სახაროტრესტ“-ის პროდუქცია, „ურალმეტ“-ის პროდუქცია, შვეიცარული ყველი, კაუსტიური სოდა, რუს. მანუფაქტურა, კვებრახის ექსტრაქტი, ხორბალი და პურეული, ქიმიური ნაწარმოები, საშენებელი ლურსმნები, ფანჯრის მინა, ასანთი რუსული, სახ. მეურნ. საბჭ. საპნის და საფეიქრო ტრესტის პროდუქცია (საპონი 1 ხარ. და ტუალეტის, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხვ.), ცემენტი და ეტერნიტი, ქინაქინა, გიგროსკოპიული ბამბა, ძირტკბილა, ადგილობრივი ხორბალი, განჯის წითელი ღვინო.

ოფიციალური წინადადებანი.

ელექტრონის ლამპები „ოსრამ“ 110 და 120 ვოლტ.—13 პენსი, 220 ვოლტ.—16 პენსი და 80 პენ. ცალში, ფრანკო ტფილისი—საბაჟო.

წყლის საზომები (водомеры) 17535 მ. თანხისა, ფრანკო მეიდვეილის საწყობი.

ჯირიში (თევზი)—2 მ. 50 კ. ფ., ფრანკო სად. ნავთლუღი.

კვებრახის ექსტრაქტი—6 მ 50 კ. ფუთი ფრანკო ვაგონი ლენინგრადი.

ქვა-მარილი ნახარ. 61 კ. ფ., ფრანკო სად. ტფილისი.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

ჩერვონცების კურსი კვლავ ზევით იწევს. საფრანგეთის ფრანკის კურს დაცემის ტენდენცია ეტყობა.

ჩერვონცების და ა.-კავკასიის ბონების შეფარდება

(6 მარტი)

ჩერვ.	ბონით.	ჩერვ.	ბონით.
1 კ.—	5.250.000	56 კ.—	294.000.000
2 კ.—	10.500.000	57 კ.—	299.250.000
3 კ.—	15.750.000	58 კ.—	304.500.000
4 კ.—	21.000.000	59 კ.—	309.750.000
5 კ.—	26.250.000	60 კ.—	315.000.000
6 კ.—	31.500.000	61 კ.—	320.250.000
7 კ.—	36.750.000	62 კ.—	325.500.000
8 კ.—	42.000.000	63 კ.—	330.750.000
9 კ.—	47.250.000	64 კ.—	336.000.000
10 კ.—	52.500.000	65 კ.—	341.250.000
11 კ.—	57.750.000	66 კ.—	346.500.000
12 კ.—	63.000.000	67 კ.—	351.750.000
13 კ.—	68.250.000	68 კ.—	357.000.000
14 კ.—	73.500.000	69 კ.—	362.250.000
15 კ.—	78.750.000	70 კ.—	367.500.000
16 კ.—	84.000.000	71 კ.—	372.750.000
17 კ.—	89.250.000	72 კ.—	378 000.000
18 კ.—	94.500.000	73 კ.—	383.250.000
19 კ.—	99.750.000	74 კ.—	388.500.000
20 კ.—	105.000.000	75 კ.—	393.750.000
21 კ.—	110.250.000	76 კ.—	399 000.000
22 კ.—	115.500.000	77 კ.—	404.250.000
23 კ.—	120.750.000	78 კ.—	409.500.000
24 კ.—	126.000.000	79 კ.—	414.750.000
25 კ.—	131.250.000	80 კ.—	420.000.000
26 კ.—	136.500.000	81 კ.—	425.250.000
27 კ.—	141.750.000	82 კ.—	430.500.000
28 კ.—	147.000.000	83 კ.—	435.750.000
29 კ.—	152.250.000	84 კ.—	441.000.000
30 კ.—	157.500.000	85 კ.—	446.250.000
31 კ.—	162.750.000	86 კ.—	451.500.000
32 კ.—	168.000.000	87 კ.—	456.750.000
33 კ.—	173.250.000	88 კ.—	462.000.000
34 კ.—	178.500.000	89 კ.—	467.250.000
35 კ.—	183.750.000	90 კ.—	472.500.000
36 კ.—	189.000.000	91 კ.—	477.750.000
37 კ.—	194.250.000	92 კ.—	483.000.000
38 კ.—	199.500.000	93 კ.—	488.250.000
39 კ.—	204.750.000	94 კ.—	493.500.000
40 კ.—	210.000.000	95 კ.—	498.750.000
41 კ.—	215.250.000	96 კ.—	504.000.000
42 კ.—	220.500.000	97 კ.—	509.250.000
43 კ.—	225.750.000	98 კ.—	514.500.000
44 კ.—	231.000.000	99 კ.—	519.750.000
45 კ.—	236.250.000	1 მ.—	525.000.000
46 კ.—	241.500.000	2 მ.—	1.050.000.000
47 კ.—	246.750.000	3 მ.—	1.575.000.000
48 კ.—	252.000.000	4 მ.—	2.100.000.000
49 კ.—	257.250.000	5 მ.—	2.625.000.000
50 კ.—	262.500.000	6 მ.—	3.150.000.000
51 კ.—	267.750.000	7 მ.—	3.675.000.000
52 კ.—	273.000.000	8 მ.—	4.200.000.000
53 კ.—	278.250.000	9 მ.—	4.725.000.000
54 კ.—	283.500.000	1 ჩერვ.	5.250.000.000
55 კ.—	288.750.000		

კოოპერაცია

შეუძლია თუ არა ცეკავშირს სასოფლო-მეურნეობისათვის აგრონომიული დახმარების მოწყობა?

(დისკუსიისათვის)

ჩვენი სოფლის მეურნეობამ ჯერჯერობით თავი ვერ დააღწია იმ კრიზისს, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა პოლიტიკურ-ეკონომიურ პირობებით. საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულ ზომებით ეს კრიზისი თანდათან სცხრება, ჰკარგავს გლეხისთვის გამანადგურებელ თვისებებს, მაგრამ ჩვენი სოფლის მეურნეობის მდგომარეობა ჯერ მაინც მძიმეა.

ერთ უმთავრეს მიზეზათ სასოფლო მეურნეობის დაქვეითებისა უნდა ჩაითვალოს მისი დაბალი პროდუქცია, რაც შედეგია ექსტენსიური მეურნეობისა. ერთათ ერთი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან არის საერთოთ ინტენსიურ მეურნეობაზე გადასვლა და კერძოთ ძვირფასი მცენარეების კულტურა (ჩაი, ბამბა, თამბაქო, ვაზი), სადაც კი ამისთვის ბუნებრივი პირობები ხელს გვიწყობენ. საჭიროა სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელება, იაფი კრედიტის მოწყობა ინვენტარის მიწვდომა. ვინ მისცემს ყველა ამას სოფელს?

თავის მეურნეობის აღორძინების დროს გლეხი აუცილებლათ უნდა დაეყრდნოს შეკავშირებულ ძალას, კოლექტივს, კომუნას ან კოოპერაციას. სხვა გზა არ არსებობს.

სწორეთ ასე მიუდგა ცეკავშირი ამ საკითხს. იგი ხელს უწყობს შეაკავშიროს, აამოძრაოს სოფლის ცოცხალი ძალები—სოფლის კოოპერატივის გარშემო. როგორც თვით პრაქტიკამ დაგვანახვა, ასეთი პირველდაწყებითი სოფლის კოოპერატივი საუკეთესო, მარტივი და იაფი აპარატია სოფლის მეურნესთვის, რომელიც ერთ და იმავე დროს მწარმოებელიც არის სხვადასხვა დარგების და მომხმარებელიც. იგი თხოულობს ფართალს, მარილს, ნავთს და მოაქვს ჩასაბარებლათ სიმინდი, პარკი, ხახვი, ხორბალი. მაგრამ ზოგიერთ რაიონებში მეურნეს ინტერესი მოითხოვს შეკავშირდეს სას. სამეურ. ამხანაგობებში, რომელიც აერთებს რომელიმე მონო-კულტურის მწარმოებლებს. ამ შემთხვევაში ცეკავშირი, როგორც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრი, აარსებს ასეთ ამხანაგობებსაც და უწევს მათ ყოველივე დახმარებას.

ამ რიგათ შეერთებულნი არიან და შემოდიან წევრათ ცეკავშირში მეღვინეთა, მეხილეთა, მებოსტნეთა, მებამბეთა, მეთამბაქოეთა და სხვა ამხანაგობანი. ცხადია, რომ როგორც პირველ დაწყებითი სოფლის კოოპერატივები, აგრეთვე ცეკავშირის სასოფ. სამ. ამ—ბი, სხვა დახმარებასთან ერთად მოითხოვენ ცეკავშირისაგან აგრონომიულ და საკრედიტო დახმარებასაც. ამ მიზნით ცეკავშირთან დაარსებულია საკრედიტო და აგროდახმარების განყოფილება. ჩვენ სოფელს ესაჭიროება ინვენტარი, ნამყენი ნერგი, თესლი, საუკეთესო ჯიში საქონლისა და სხ. ყველა ამას ცენტრი ვერ მიაწვდის,—საჭიროა თვით ადგილობრივი კოოპერატივი ამოძრავდეს და გამონახოს გზა. ამ გზის გამონახვაში, ორგანიზაციულად მას ეხმარება ცეკავშირის აგროდახმარების განყოფილება, და მთავარი მოვალეობა მისი არის მოაწყოს ადგილობრივი კოოპერატივის საშუალებით სასოფ. სამ. იარაღების გასაქირავებელი პუნქტები, ხეხილის და ვაზის სანერგეები, სათესლე ბოსტანი, საგრილებელი პუნქტი და სხ. მაგრამ პირველ ხანში მარტო ეს არა კმარა. საჭირო ხდება თვით ცენტრის ხარჯზედაც ვაწარმოოთ რომელიმე კოოპერატივთან ზემოაღნიშნული მუშაობა. ასეთ მუშაობას აქვს დროებითი ხასიათი და უნდა გამოვიყენოთ იგი როგორც საჩვენებელი მეთოდი.

ცეკავშირს აგროდახმარების მოსაწყობათ და სამუშაოდ გადადებული აქვს 30.000 მან. და მერე დამატებითი კიდევ 20.000 მან. პრაქტიკულ მუშაობას აწარმოებს ქართლში კახეთში და იმერეთში, თავის რაიონის აგრონომების და სპეცების დახმარებით. ამჟამად ცეკავშირის მიერ პრაქტიკული მუშაობა სწარმოებს—1) ყარაიაზში—ბამბის საჩვენებელი მინდორი და ბოსტანი საუკეთესო თესლის მისაღებათ, 2) გორში—მუშაობა ხეხილის სანერგეში და ბოსტანში 3) კახეთში—ყვარელში აბრუნებს მიწას ვაზის სანერგისთვის, ლაგოდეხში და ვარდისუბანში აბრუნებს მიწებს საჩვენებელ მინდვრებისთვის, 4) იმერეთში—სამტრედიაში და მუხიანში სწარმოებს მუშაობა ხეხილის სანერგეში, ბოსტნის და ბამბის საჩვენებელი მინდვრის გასამართათ. 5) სას. სამ. იარაღის გასაქირავებელი პუნქტები მოწყობილია წნორის წყალზე და ყარაიაზში, იმართება კიდევ გორის და სამტრედიის რაიონებში, 6) გამოწერილია მოსკოვიდან ჯიშიანი ბუღები ბაშკიჩეთის რაიონის საგრილებელი პუნქტისათვის და იორკავშირის ჯიშის ღორები სამტრედიის პუნქტისათვის, 7) დამზადებულია გამოსაცემათ ბროშურა სიმინდი და პლაკატი ბაღის მავნებლებთან ბრძოლა. 8) გამოწერილია მოსკოვიდან სამეურნეო ლექციებისათვის ბუნდოვანი სურათებისთვის ფანრები და სხვ.

ასეთია მოკლეთ ცეკავშირის აგროდახმარების განყოფილების პრაქტიკული მუშაობა; იგი ეხლა ეწყობა და იმედი უნდა ვიქონიოთ იგი გადაიქცევა ერთ უმთავრეს ფაქტორათ ჩვენი კოოპერატივების სასოფლო-მეურნეობის აღორძინების დროს.

ეს მოკლე მიმოხილვა ცეკავშირის საქმიანობის აგროდახმარების დარგში საკმაოთ ნათელყოფს, რომ ეს დარგი არ შეადგენს მონოპოლიურ საქმეს სხვა რომელიმე კოოპერატიულ ცენტრისას გარეშე ცეკავშირისა, რომ ცეკავშირსაც საკმაოთ დიდი კულტურულ-კოოპერატიული მისია აქვს დასახული ჩვენი სასოფლო-მეურნეობის აღორძინების საქმეში.

აგრონომი ი. ქურდიანი.

ტფილისის საბჭოს პლენუმი

3 მარტს, სალამოს ნაძალადევის თეატრში შესდგა ტფილისის საბჭოს პლენუმი. ტფილისის საბჭოს ისტორიაში ეს პირველი სხდომაა, რომელიც გამართული იყო ქალაქის განაპირა უბანში პლენუმის სხდომების მუშათა უბნებთან დაახლოვების მიზნით.

მუშაობა ზემო-ავჭალაში.

(ინჟ. ჭიჭინაძის მოხსენება)

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის აგებას მნიშვნელობა აქვს არა მარტო ტფილისათვის, არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელ ამიერ-კავკასიისთვისაც.

სადგურის სიძლიერე პირველ ხანებში იქნება 8,000 ცხენის ძალის, რაც სავსებით დააკმაყოფილებს ტფილისის მოთხოვნილებებს და შემდეგ ამ სიძლიერის თანდათანობითი გადიდებით ჩვენ საშუალება გვექნება ელექტრონის ენერგია მოვახმაროთ მრეწველობის ელექტროფიკაციას. სადგური, ჯებირის წყალობით, უზრუნველყოფილი იქნება მუდამ წყლის საკმაო რაოდენობით, რადგან მოწყობილ აუზში ყოველთვის იქნება 3 მილ. კუბ. მეტრი წყალი.

რაც შეეხება მუშაობის წარმოებას, ის ჩქარის ტემპით მიდის. დამთავრებულია ბეტონის მილის აგება პაწია-ხევის ხეობაში.

არხის მთავარ ნაწილში მიწის სათხრელი სამუშაოებების დიდი ნაწილი დამთავრებულია. დეკემბრის პირველ რიცხვებიდან დღემდი ამოღებულია 5,000 კუბ. მეტრი მიწა.

ყველაზე უფრო ძნელი ტეხნიკური ამოცანა მთელს მუშაობაში არის ჯებირის აშენება, რომელიც უნდა დამთავრდეს 1925 წელში და როგორც კი დამთავრდება მისი აშენება, იმ ძიროიდან სადგურის აგებაც დამთავრებულათ უნდა ჩაითვალოს, რადგან დანარჩენ სამუშაოებებისათვის საჭირო არ იქნება ბევრი არც საშუალებები, არც დრო და არც ძალები.

ჯერ ჯერობით სადგურის აშენებაზე დახარჯულია 4 მილ. ჩერვ. მან. და კიდევ დაახლოებით საჭიროა 3 მილ. მან. ამ უკანასკნელი თანხის მიღება უზრუნველყოფილია.

რეზოლიუცია.

დიაპოზიტივების და ზემო-ავჭალაში წარმოებულ მუშაობის ფილმის ჩვენების და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ პლენუმმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ამხ. ჭიჭინაძის მოხსენება მუშაობის მსვლელობის შესახებ ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურზე, ტფილისის საბჭოს პლენუმი სრულიად დამაკმაყოფილებლათ სთვლის სადგურის აგებისათვის წარმოებულ მუშაობას და წინადადებას აძლევს აღმასკომის პრეზიდიუმს მიიღოს ყველა ზომები იმისათვის, რომ სადგურის აშენება დამთავრებული იქნეს 1925 წელში.

ამასთანავე, საბჭოს პლენუმი აუცილებლათ სთვლის მოწყობილი იქნეს ახლო მომავალში საბჭოს ყველა წევრების ექსკურსია ზემო-ავჭალაში იმ მიზნით, რომ საბჭოს წევრებმა ადგილობრივ დაათვალიერონ სადგურის აგებისათვის წარმოებული სამუშაობები“.

ეს რეზოლიუცია მიღებული იქნა დამატებით, რომელშიაც დადგენილია მიღებული იქნეს ზომები საბინაო საკითხის მოსაგვარებლათ [illegible] სადგურის მუშებისათვის.

ავჭალის წყალსადენი.

(ინჟ. დიასამიძის მოხსენება).

მთავარი ყურადღება 1923 წ. მიქცეული ჰქონდა ჰიდრო-ტეხნიკურ სამუშაოებებს. მოგვარებულია წყლის მოზიდვის საქმე არხში. შემდეგ შეკეთებული იქნა მანქანები, რომელნიც 25—35 წლისწადია, რაც მუშაობენ. შეკეთებულია წყლის ტურბინები, დიზელები და [illegible] ორთქლის ტურბინა. შეკეთებულია აგრეთვე ცეცხლის გამჩაღებელი მანქანა, რომელიც ორთქლს იძლევა ორთქლის ტურბინისათვის. მარტო ცეცხლის გამჩაღებელ მანქანის რემონტისათვის შეძენილი იყო 34 000 ჩერ. მან. არმატურა.

მანქანების შეკეთების წყალობით მიღწეულია დიდი ეკონომია [illegible] ჩერ. მანეთს თვეში.

ეხლა შემოღებულია შემცირებული ტარიფი პროფკავშირთა წევრებისათვის. ამან შეამცირა შემოსავალი და აუცილებელია გაძლიერებულ იქნეს წყლის აღრიცხვა, რაც შესაძლებელია წყლისმზომელების დადგმით. წარსულ წელში შეძენილი იყო 1000 წყალმზომის და ეხლა მოლაპარაკება სწარმოებს კიდევ 2000 წყალმზომის შეძენისათვის. ტფილისისათვის სულ საჭიროა 5000 წყლმზომი.

შრომის ხელფასი შეადგენს მთელი გასავალის 27 პროც. ამჟამათ წყალსადენი აღმასკომის სალაროდან დოტაციას არ იღებს.

კომინტერნის არსებობის 5 წლის თავი

პროფინტერნის მისალმება

მოსკოვი. 5 მარტი. წითელი პროფინტერნი ესალმება რა კომინტერნს მისი არსებობის 5 წლის შესრულების გამო, აღნიშნავს, რომ **კომინტერნი არის უდიდესი მსოფლიო სახელმწიფო, რომლის მსგავსი ჯერ ქვეყნიერებას არ ახსოვს. ერთის მხრით კომინტერნი ეყრდნობა საბჭოთა კავშირს, რომელიც შეადგენს მთელი დედამიწის მეექვსედ ნაწილს, და მეორე მხრივ—მთელი ქვეყნის მშრომელთა და ჩაგრულთა მილიონებს.** კაპიტალისტურ ქვეყნების ყველა სახელმწიფოების მოღვაწეთა ცდა ხელი შეუშალონ კომინტერნის განვითარებას, ამტკიცებს კომინტერნის დიდ საერთაშორისო მნიშვნელობას. საერთაშორისო [illegible] ლით იხსნიებს კომინტერნს. მთელი მსოფლიოს რევოლიუციონური მუშები, რომლებიც გაერთიანებული არიან წითელ პროფინტერნში, აცხადებენ, რომ ისინი დღემდის იბრძოდენ და მომავალშიაც იბრძოლებენ სახელოვან კომუნისტურ დროშის ქვეშ მთელ მსოფლიოში კომუნიზმის სრულ გამარჯვებამდე.

საერთაშორისო გლეხთა საბჭოს მოწოდება

მოსკოვი. 5 მარტი. საერთაშორისო გლეხთა საბჭოს პრეზიდიუმი მთელი მსოფლიოს გლეხობისადმი მოწოდებაში კომინტერნის არსებობის 5 წლის თავის გამო აღნიშნავს, რომ **ლენინის მიერ დაარსებული კომინტერნი აწარმოებს დაუზოგავ ბრძოლას ყველა ქვეყნის კაპიტალისტებსა და მემამულეების წინააღმდეგ. ქალაქის და სოფლის მდიდრების კავშირს კომინტერნმა დაუპირდაპირა ქალაქის და სოფლის ყველა ჩაგრულთა და გაუკვლეფილთა კავშირი.** კომინტერნის გავლენის ზრდა მთელი მსოფლიოს მშრომელ მასებზე იწვევს შიშს და შურს კაპიტალისტებს, მემამულეების და სოციალ-გამცემელთა აგენტებს შორის, რომლებიც გლეხებს და მუშებს დაპირებებით კვებავენ.

კომინტერნმა თავის ბრძოლის დროშაზე დააწერა გლეხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის ლოზუნგი, მუშურ-გლეხურ კავშირის, ქალაქის მუშის და სოფლის გლეხობის კავშირის და მუშურ-გლეხურ მთავრობის ლოზუნგები. ეს ლოზუნგები პირველად წამოაყენა კომინტერნის დამაარსებელმა მუშების და გლეხების დიდმა წინამძღოლმა ლენინმა.

მიმართვა მოუწოდებს მუშებს და გლეხებს შეამჭიდროონ თავიანთი რიგები და განამტკიცონ გლეხების და მუშათა კლასის ძმური კავშირი. მუშურ გლეხურ კავშირშია—არა მარტო გლეხთა განთავისუფლება, არამედ ყველა მშრომელთა გამარჯვება. გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას! ძირს კაპიტალისტები და მემამულეები! გაუმარჯოს მსოფლიო მუშურ-გლეხურ კავშირს! გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ რესპუბლიკების მსოფლიო კავშირს!

გლეხებო და მუშებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საბჭოთა სისტემა და საქართველოს დამოუკიდებლობა

(ს. დევდარიანის მოხსენება)

ჩემი მოხსენების მიზანი.

ჩემ მოხსენებას ექნება არა ვინმეს ლანძღვა-გინების მიზანი, არამედ თვითკრიტიკა, რომელიც გვიანდერძა მარქსმა და რომელსაც ყველაზე უკეთესად ბოლშევიკების ბელადი ლენინი ასრულებდა. ჯერ კიდევ 1920 წ., როდესაც მე ბოლშევიკების საწინააღმდეგო წერილებს ვწერდი, ვამბობდი, რომ ჩვენ ბოლშევიკებიდან უნდა ვისწავლოთ თვითკრიტიკა და ამას შეძლებისდაგვარად პირადათ მე ყოველთვის ვასრულებდი.

3 წლის განმავლობაში საქართველოს დიდი უბედურება დაატყდა თავს და ამაში დიდი დანაშაული მიუძღვის საქართველოს სოციალ-დემოკრატიას, მის შეცდომებს, რომელმაც ჩვენ დამარცხებამდე მიგვიყვანა, დამარცხდა ჩვენი ნეიტრალიტეტის პოლიტიკა, დამოუკიდებელი პოლიტიკა, რომელიც ამბობდა არც დენიკინი, არც ბოლშევიკები. ნ. ჟორდანია თავიდან ამ საშუალო ხაზზე იდგა და მე ვფიქრობდი, რომ ის ბოლშევიზმს აირჩევდა, რაც სინამდვილეში არ მოხდა.

პირადათ მე „ერთობის“ უკანასკნელ ნომერში, რომელიც იმ დროს ქუთაისში გამოდიოდა უარვყოფდი პარტიის ძველ ხაზს და შემდეგშიც, ჩეკაში მისვლამდიც ვამბობდი, რომ საქართველო დაიღუპება, თუ ჩვენ ევროპის იმედებით ვიცხოვრეთ. 1921 წ. 10 აპრილსაც მე ამას ვიტყოდი, რომ პარტიის დისციპლინას არ დავემორჩილებოდი.

რა გამოიცვალა.

არავითარი გადატრიალება ჩემს აზროვნებაში არ მომხდარა. მაშ რა მოხდა? რა შეიცვალა? რა გამოიცვალა?

მოხდა ის, რომ ჩეკაში მე მაჩვენეს მასალები, რომლებსაც მე არ ვიყავი გაცნობილი. ამბობენ, თითქო ეს საბუთები ჩეკაში შეთხზულია. მე არ მინდა აქ ვიხმარო უხეში სიტყვა ამ ტაქტიკის დასახასიათებლად. ვიტყვი მხოლოდ, რომ ყველას, პოლიტიკური ორგანიზაცია იქნება ის, თუ ცალკე პირი უნდა შესწევდეს გამბედაობა არ სთქვას უარი თავის ნამოქმედარზე. მე უნდა გადაჭრით ვსთქვა, რომ ეს საბუთები არ არის შეთხზული.

ამ დოკუმენტებმა ცხადჰყო ჩემთვის ჩვენი გზის სიმრუდე დამანახვა მე, რომ ჩვენი პარტია ასცდა ძველ მენშევიკურ გზას. მე არ გამომიცვლია არაფერი, მე ვამბობ იმას, რასაც წინეთ ვამბობდი.

ნოე ჟორდანიას მრავალჯერ უთქვამს, რომ ორ ძალაში, რეაქციასა და ბოლშევიზმს შორის, ჩვენ ბოლშევიზმი უნდა ვარჩიოთო. როცა რედაქციაში ვმუშაობდი მე, მას ბევრჯერ შემოუთვლია, რომ ჩვენ რაც შეიძლება მკაცრი კილო დავიჭიროთ ანტანტის მიმართ და ლმობიერი, მეგობრული ბოლშევიკებისადმიო. და როცა ვიგონებდი მე ნ. ჟორდანიას ამ სიტყვებს, განა მე შემეძლო იმის დაჯერება, რომ ჩვენი პარტია სხვაგან ეძებს საქართველოს ხსნას?

რა იმედით წავიდენ აქედან საქართველოს მთავრობა, ს.-დ. მ. პ. წარმომადგენლები? იმ იმედით, რომ საქართველო ცნობილია და რუსეთს არ მისცემენ მისი დაპყრობის უფლებასო. ამ იმედით დარჩენ აქაც. ამ იმედმა საქართველოს სამი წლის წამება აგემა. ეყოფა ეს მას. მან უნდა გამონახოს სხვა გზა, რომ უკეთესად მოაწყოს თავისი ცხოვრება.

საზღვარ-გარეთ არაფერი კეთდება.

ბევრი ფიქრობს. თითქო იქ, საზღვარგარეთ რაღაცას აკეთებენ, თითქო ქართველ ხალხს შეუძლია იქონიოს გარედან განთავისუფლების რაიმე იმედი. მაგრამ ეს არ არის მართალი. ის წერილები, ის მასალები, რომელიც აქ იგზავნებოდა საზღვარ-გარეთიდან, ამის იმედს არ იძლევა.

როდესაც ხალხი სამი წლის განმავლობაში მუშაობს საზღვარ-გარეთ, თითქო რაღაცას აკეთებს, იმედებით კვებავს ხალხს, მათ გარკვევით უნდა უთხრან ამ ხალხს, რისი იმედი უნდა იქონიოს, მაგრამ ამას ვერ ამბობენ გარკვევით, ვერ იტყვიან გარკვევით, რადგან ჩვენი განთავისუფლება ვისიმე იმედით შეუძლებელია.

უსაფუძვლო იმედებით კვება

საზღვარ-გარეთ არსებობს ს. ს. დ. მ. პ. ბიურო, ამ ბიუროში შედიან საქართველოს სოციალ-დემოკრატიის საუკეთესო წარმომადგენლები. ამ ბიურომ გამოგზავნა მიმართვა საქართველოს მუშებისა და გლეხებისადმი. ეს მიმართვა, ჩემის აზრით, არის პასუხი ყოფილ მენშევიკების მიმართვაზე ნ. ჟორდანიასადმი. მე წაგიკითხავთ ამ მიმართვას. ამ მიმართვაში მაინც უნდა იყოს გარკვევით ნათქვამი, თუ რისი იმედი უნდა ჰქონდეს ქართველ ხალხს. მაგრამ ამ საუკეთესო დოკუმენტშიც ვერ ნახავთ ამას, არ არის არაფერი ნათქვამი. აქაც არის კვება სახვალიო უსაფუძვლო იმედებით.

ს. დევდარიანი კითხულობს „მომართვას“, რომელიც სავსეა მენშევიკებისათვის ჩვეულებრივი ლანძღვა-გინებით: „ბოლშევიკური ურდოები“, „საქართველოს დამპყრობლები“ იტაცებენ ხალხის ქონებას, „კომპარტია იშლება“, „რუსეთის პრესტიჟი ევროპაში ეცემა“ და სხვა.

მე პატივს ვცემ და მიყვარს საზღვარგარეთ მყოფი ამხანაგი—განაგრძობს ს. დევდარიანი—მაგრამ ეს მე არ შემიშლის ხელს ვსთქვა, რომ ეს დოკუმენტი არის სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის გაკოტრება. ისინი არაფერს ახალს არ ამბობენ. ისინი არ ითვალისწინებენ საერთაშორისო მდგომარეობას. იმის თქმა, რომ რუსეთის პრესტიჟი ეცემა ევროპაში, ამის თქმა იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირი იცნო ინგლისმა, იტალიამ, ნორვეგიამ, იცნობენ სხვები, და ამაზე აგება თავისი პოლიტიკის, ეს შეუძლია კაცს, რომელიც არაფერს არ ხედავს, რომელსაც არაფერი არ სურს დაინახოს.

მათ უნდა უთხრან ხალხს, რისი იმედი შეუძლია დაიჭიროს მან. მაგრამ ისინი ამას არ ამბობენ, არ შეუძლიათ თქვან, რადგან ჩვენი ხსნა ევროპიდან უაზრობაა, შეუძლებელია. ეს გაკოტრებაა. ავადმყოფს, როცა მას გულისცემა შეუწყდება, ქაფურს შეუშხაპუნებენ, რომ კვლავ აამუშაონ გული. ასევე ემართება ჩვენს იმედებს, იმედები კვდება, მაგრამ მას აცოცხლებენ ახალი იმედების, უსაფუძვლო იმედების ალძვრით.

ვიმეორებ, ეს მომართვა რაიმე რეალურ იმედზე, რეალურ ძალაზე მითითების მხრივ არაფერს არ იძლევა. განა იქ შეიძლება ჩვენი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა? თუ ასეთი იმედი რეალურია, მაშინ უნდა ეთქვათ ეს, რომ შეეჩერებიათ ჩვენი პარტიის რღვევა. ამბობენ, რომ ეს რღვევა მოხდა ჩეკას ძალდატანებით. მით უფრო სამარცხვინო ჩვენი პარტიისათვის, თუ ეს მართალია.

მაგრამ ეს არ არის ნათქვამი. ჩვენი პარტიის ბედ-იღბალის მესვეურებმა ეს ვერ სთქვეს. ამ დოკუმენტში არ არის არც ერთი ცოცხალი აზრი. მე მიყვარს საზღვარ-გარეთ მყოფი ამხანაგები, მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ ეს არის იდეური გაკოტრება, ნიადაგის დაკარგვა.

ნ. ჟორდანიას წიგნი.

არც ნ. ჟორდანიას წიგნაკში, რომელიც საზღვარ-გარეთ გამოვიდა, აგრეთვე საიმედო არაფერია. ჩვენი სეპარატიზმი უაღრესათ დემოკრატიულიაო, ჩვენ საქმეში რუსეთი ნუ ჩაერევა, შეუძლებელია ბოლშევიკებთან შეთანხმება ისე, როგორც მგლის და კრავის დამეგობრებაო. ბოლშევიკების რეჟიმი ძირმომპალია, ვინ იქნება მისი მემკვიდრე, არავინ იცისო, ყოველ შემთხვევაში საიმედო მემკვიდრეს ჩვენ ვერ დავასახელებთ; თუ რუსეთი არ წავა საქართველოდან, ჩვენ მრავალი შესაძლებლობა გვექნება მის გასარეკათო. მაგრამ რა საშუალებით აპირებს რუსეთის გარეკას, ეს კი არ სჩანს. და მისი პოზიცია, მისივე სიტყვებით რომ ვსთქვათ, ეს არის „წყალზე ფეხით გაჩერება“. ქართველებს ევროპის იმედი აქვთ და ეს იმედი არ გაუცრუვდებათო, მაგრამ რას ემყარება ეს იმედები, ამის შესახებ ვერაფერს იტყობინება. იქნება საიდუმლო ცნობები იყოს და არ ამჟღავნებდეს, მაგრამ ნამდვილათ საიდუმლო კი არა, არაფერი არ არის.

ეს შეცდომა კი არა, დანაშაულობაა ხალხის წინაშე, ვინ მოგვცა ჩვენ უფლება, რომ ხალხს კედელზე ვახეთქებიოთ თავი? ჟორდანიას ალბათ იმედი აქვს ინტერვენციის, საჭიროა მისთვის ნიადაგის მომზადება შიგნით აჯანყებების საშუალებით. ეს ხაზი აქვს აღებული დღეს საქართველოს სოციალ-დემოკრატიის, და წინეთ კი ის ამ ხაზისგან შორს იდგა. სოციალ-დემოკრატიას არასოდეს არ უფიქრია, რომ ევროპის მმართველი წრეები გაანთავისუფლებენ რომელიმე ერს და როდესაც მან ეს იფიქრა, ის გასცილდა, მოსწყდა სოციალისტურ ნიადაგს.

მეორე პოზიცია.

არის ჩვენ ამხანაგებში მეორე მიმართულებაც, რომელიც სჩანს გრ. ლორთქიფანიძის წერილში და ანდ. ჭიაბრიშვილის წერილში ტროცკისადმი. ლორთქიფანიძის წერილი წარმოადგენს ბოლშევიზმის კრიტიკას, მაგრამ ბოლშევიკების საუკეთესო კრიტიკოსი იყო ლენინი და ამ მხრივ ლორთქიფანიძე ახალს ვერაფერს იტყვის. გრ. ლორთქიფანიძე ერთად ერთო რევოლიუციონურ ხელისუფლებათ სთვლის საბჭოთა მთავრობას, რომლის დამხობა მოასწავებს მემამულეთა და ბურჟუაზიის ძალაუფლების აღდგენას. ლორთქიფანიძის აზრით, საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ ლოიალური თანამშრომლობა უნდა დაიწყოს. საქართველოს კომპარტიასთან ეს არის გამოსავალი არსებული მდგომარეობიდან და ან. ჭიაბრიშვილიც იმავე გზას ადგია, როდესაც ის ტროცკის შესჩივის, რომ საქართველო კარგავს კულტურულ ეროვნულ ელფერს და საჭიროა ამას წინ აღუდგეს კომპარტიაო.

რას უნდა დაეყრდნოს ნაციონალური მოძრაობა.

ეროვნული მოძრაობა დაყრდნობილი უნდა იყოს კლასობრივ ნიადაგზე. თუ ერის განთავისუფლების დროშა ხელში უჭირავს მუშათა კლასს, მაშინ ერის წინსვლა უზრუნველყოფილია. ასე ამბობდა მარქსი.

არალეგალური ც. კ. და საზღვარგარეთის ბიურო ჩამოსცილდა ამ ნიადაგს.

ჩვენი ბრძოლა არ იყო დაყენებული კლასობრივ ნიადაგზე, ამიტომ ჩვენ ვეღარ ვიცავდით ერის ინტერესებს. ამაშია ჩვენი დამარცხება.

შეათავსეს თუ არა კომუნისტებმა კლასობრივი ბრძოლა ეროვნული განთავისუფლების საქმესთან? ეს მათ, ყოველშემთხვევაში ჯერ-ჯერობით ვერ მოახერხეს სავსებით. ვერ მოახერხეს იმიტომ, რომ ამაში ჩვენ გვიდევს ბრალი. ჩვენ ვებრძოდით მათ, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს მოხერხდება, როცა ჩვენ ხელს ავიღებთ ავანტიურისტულ პოლიტიკაზე და დავიწყებთ მათთან მუშაობას.

ნათელი წარმოდგენა საქმეზე, რასაც მოითხოვს ნოე ჟორდანია თავის უკანასკნელ წიგნაკში, არ ჰქონდა არალეგალურ ც. კ., არა აქვს საზღვარგარეთის ბიუროს. ჩვენ ვფიქრობდით, რომ საქართველოს გარდა მაკდონალდსა და პუანკარეს არავინ უნდა ახსოვდეს. ეს იყო მეორე შეცდომა, რომელიც ჩვენ გვაშორებდა მარქსისტულ მსოფლმხედველობას, მარქსისტულ ხაზს.

მარქსი და ენგელსი ამბობდენ: „როცა ეროვნული მოძრაობა რეაქციას ეკედლება, არ ვარგა ის, მას მხარი უნდა დაუჭრათო“.

არალეგალური კონფერენცია ამბობს, რომ „უნდა გადადგმულ იქნას ნაბიჯები ევროპის მმართველ წრეებში“ საქართველოს საკითხის გადასაჭრელადო. რას იტყოდა მარქსი ამაზე.

არის ასეთი გეგმა. ხდება სახელმწიფოების დაჯგუფება. საქართველო ერთ მათგანს უნდა მიეკედლოს.

რატომ ხდება დაჯგუფება? კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ინტერესების წინააღმდეგობის გამო. შესაძლებელია ომი. საქართველო მოექცევა ამ ქარცეცხლში. ამას უფარდებს თავის ტაქტიკას ეროვნულ საკითხში საქ. სოც.-დემოკრატია.

ვისთან უნდა ვიყოთ ჩვენ.

მარქსიზმი მხარს უჭერს რევოლიუციას და არა რეაქციას. ამიტომ მარქსიზმი არის ბოლშევიკებთან და და არა ანტანტასთან.

ნ. ჟორდანია ამბობს, ჩვენ ევროპასთან უნდა ვიყოთო.

ევროპა ორგვარია: მმართველი წრეების და მშრომელი ხალხის.

არალეგალური კონფერენცია მმართველი წრეებისაკენ არის.

რუსეთი იმიჯნება მმართველი წრეებისგან და მარქსისტები მასთან უნდა იყვნენ.

დემოკრატია სხვადასხვანაირია: „დემოკრატია“ და მუშური დემოკრატია.

ბოლშევიზმი პრინციპიალურად არ არის დემოკრატიის წინააღმდეგი.

ლენინი ამბობს: სოციალიზმი ვერ გაიმარჯვებს ისე, თუ დემოკრატია ბოლომდის არ გაატარაო.

რა მოხდება, რომ ევროპის მმართველმა წრეებმა დაამარცხონ საბჭოთა მთავრობა. ჟორდანიაც ამბობს, რომ სახეირო არა იქნება. ცხადია. რომ ეს საშინელი რეაქცია იქნება. მაშ რაზე ვამყარებთ ჩვენს ეროვნულ უფლებებს? საშინელი რეაქციის დროს საქართველო განადგურდება და თუ ჩვენ ევროპის მმართველი წრეების მოიმედე ვიქენით, ეს რეაქციის მოახლოება იქნება.

საბჭოთა სისტემის გამოცვლა რუსეთში შეუძლებელიცაა და არასასურველიც.

საბჭოთა სისტემა და კომპარტიის დიქტატურა.

ჩემის აზრით, საბჭოთა სისტემა კომპარტიის დიქტატურა არის, მაგრამ პირობები ისეთია, რომ სხვანაირათ არც შეიძლება, მაგრამ თუ საბჭოთა ეკონომიური აღმშენებლობა წავიდა წინ, მაშინ მუშათა კლასი მოიყრის თავს სამრეწველო ცენტრებში და ნამდვილი მუშათა დიქტატურაც განმტკიცდება. ბოლშევიკები უკვე იკაფავენ გზას მუშური დემოკრატიისკენ სხვადასხვა წრეების კონფერენციების მუშათა და გლეხთა დაკავშირებით და სხვა.

ჩემის აზრით, ბოლშევიზმსა და ძველი მენშევიზმს შორის არსებითი სხვადასხვაობა არ არის და თუ პოლიტიკური ბრძოლა მისუსტდა ჩვენ თანდათან უფრო დაუახლოვდებით ერთმანეთს, მოხდება შესისხლხორცება დემოკრატიზმის და დიქტატურის. ბოლშევიზმიც ხომ არ უარყოფს დემოკრატიზმს.

მენშევიკებს ჰგონიათ, რომ საქართველო დამოუკიდებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი იქნენ მის სათავეში, მაგრამ რატომ არ შეიძლება საქართველო დამოუკიდებელი იყოს ბოლშევიკების დროს? ინგლისის და საფრანგეთის ჯარები სერგო ორჯონიკიძეზე და მამია ორახელაშვილზე უკეთ ვერ დაიცავენ საქართველოს დამოუკიდებლობას. ცალკე სახელმწიფოს არსებობა აუცილებელი არ არის ერის კულტურულ-ეკონომიური განვითარებისთვის. შეიძლება ეხლაც გლახათ გვქონდეს საქმე ამ მხრივ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ევროპის მფარველობის დროს უკეთესად ვერ იქნება.

საქართველო უნდა [illegible] საბჭოთა კავშირთან. როცა მე ვადარებ თუ რა ხდებოდა კულტურულ-ეკონომიურ დარგში წინათ და რა კეთდება ახლა უნდა ვთქვა, რომ ეს მუშაობა ახლა, უფრო ცოცხალია.

თუ ჩვენ საქართველოს

სახელმწიფო კინო-მრეწველობა
თეატრები „არფასტო“ და „აპოლო“
სამშაბათიდან, 11 მარტიდან
ორ კინო-თეატრში ერთსადაიმავე დროს
„მამის მკვლელი“
(სამარცხვინო ბოძზე).
დადგმა და სცენარი ნაზაროვის. ყაზბეგის რომანი. ოპერატორი ზაბოზლაევი.
მთავარ როლებში:
ნუნუ—ანდრონიკაშვილი—ვაჩნაძის.
იაგო—სარაჯიშვილი.
კობა—ანდრონიკაშვილი.
გრიგოლა—ვასაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზოლუცია.

შეკითხვებზე პასუხის გაცემის და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ პლენუმმა მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„მოისმინა რა ამხ. დიასამიძის მოხსენება წყალსადენის შესახებ, ტფილისის საბჭოს პლენუმი მუშაობას საერთოდ დამაკმაყოფილებლათ სთვლის, განსაკუთრებით წარმოების ტექნიკურ გაუმჯობესების და წყლის მუდმივ და საკმაო რაოდენობის მიწოდების საქმეში.

მაგრამ, აღნიშნავს რა აღრიცხვის გაუმჯობესების, წყლის შემდეგ გაიაფების და წყალსადენის ქსელის გაფართოვების აუცილებლობას განაპირა უბნებში, პლენუმი წინადადებას აძლევს პრეზიდიუმს გააძლიეროს მუშაობა აღრიცხვისა და ღირებულების შემდეგ გაიაფების სფეროში და განაგრძოს წყალსადენის ქსელის გაყვანა განაპირა უბნებში“.

საბჭოს სექციების შესახებ.

ამხ. რუხაძემ მოხსენება, გააკეთა საბჭოს სექციების დებულების შესახებ; მან აღნიშნა ზოგიერთი ის ნიშნები, რომლითაც განსხვავდება ეხლანდელი დებულება წინათ მომქმედ დებულებისაგან.

დებულება მიღებული იქნა ერთხმათ.

პ. ქ.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

1) **შრომის კერამიკულ ქარხნის** გამოკვლევის მოსახდენად საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ შეადგინა კომისია: ინსპექციის, სამთო-მადნო კავშირის და ადგილობრივ პროფბიუროს წარმომადგენელთაგან. რომელიც უკვე გაემგზავრა შროშაში.

კომისიას დაევალა უშუალო მონაწილეობა მიიღოს გამოკვლევაში ქარხნის მუშებს.

2) ინსპექციამ შეადგინა ქალაქის ალმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველოს გამოკვლევის გეგმა. გამოკვლევ კომისიაში შედიან წევრებათ და მონაწილეობას მიიღებენ მის ყოველდღიურ მუშაობაში გარდა ინსპექციის პასუხისმგებელ ინსპექტორებისა საქ. კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის, უძრავ ქონებათა სამმართველოს წარმომადგენელი და ტფილისის საბჭოს წევრები.

3) განზრახულია ტფილისის ალმასკომის მუშათა და გლეხთა ინსპექციის საუწყებო კონტროლად გადაკეთება, რისთვისაც დაევალა სპეციალურ კომისიას შეიმუშაოს დებულება ქალაქის საუწყებო კონტროლის შესახებ და წარუდგინოს ინსპექციის კოლეგიას განსახილველად. შემდეგ ეს საკითხი დაისმება ტფილისის ალმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე დასამტკიცებლად.

4) მუშათა და გლეხთა ინსპექციამ აღძრა შუამდგომლობა, რათა ნება დაერთოს მას გაგზავნოს მოსკოვში ორი სტუდენტი — სტიპენდიანტი შრომის მეცნიერული ორგანიზაციის პრინციპების შესასწავლად.

5) ინსპექციის სახელმწიფო აპარატის გამაუმჯობესებელ განყოფილება უკვე შეუდგა მუშაობას ტფილისის უმაღლეს სასწავლებლებიდან სტუდენტების პრაქტიკანტების ინსპექციაში დროებით სამუშაოზე მოსაწვევად.

გარდა ამისა აღძრულია შუამდგომლობა, რათა ნება დაერთოს მას მოიწვიოს ინსპექციაში მუდმივ სამუშაოზედ დაახლოებით 8 სტუდენტი, რომლებიც უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიებით.

6) თანახმად გეგმისა მუშათა და გლეხთა ინსპექცია შეუდგა საქართველოში ტყავის წარმოების საქმის გამოკვლევას.

გამოკვლევაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს და ქარხნის გამგეობის წარმომადგენლები.

საბჭოთა სასამართლოში

კათალიკოსის საქმე

პროცესი იწყება ა. | წ. 10 მარტს. უზენაეს სასამართლოს სხდომები გაიმართება ნაძალადევის კლუბში, საღამოობით, რათა მუშებს შეეძლოთ პროცესზე დასწრება.

უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდებულთა შუამდგომლობა დამცველებად შემდეგ პირების დაშვების შესახებ: ს. დადიანი, ბარათაშვილი, მაჭავარიანი, ჯაფარიძე, გუნცაძე, ქავთარაძე, მღვდლიევი, გელიაზაროვი, ნინიძე, ყანჩელი, გორდეზიანი და შურლაია.

მეცნიერება და ტექნიკა

გაცოცხლების ცდები.

ტომსკის უნივერსიტეტის პროფესორმა კულიაბკომ გააცოცხლა კაცის გული 14 საათის შემდეგ გარდაცვალების მომენტიდან. ფილტვების ანთებისაგან გარდაცვლილი ბავშვის გული კი 24 საათის შემდეგ.

საინტერესოა ამ მხრივ პროფესორ კრავკოვის ცდები. მან მოამზადა მარილის ხსნილი, რომელშიც ჩადვა ტრამვაის ქვეშ დაღუპული კაცის თითი. ეს თითი ორი თვის განმავლობაში იყო „ცოცხალი“ და მასზე ფრჩხილი იზრდებოდა.

ელექტრონის ზარბაზნები.

ომის დროს გერმანელების უხილავი ზარბაზნები „ბერტები“ განცვიფრებას იწვევდენ. ისინი ისროდენ ყუმბარას 100 ვერსის მანძილზე.

ახლად გამოგზავნილი ელექტრონის ზარბაზნები 300 ფუთიან ყუმბარას 500—600 ვერსის მანძილზე ისვრიან.

რადიო-ტორმაზი.

ამჟამად ამერიკაში გამოიგონეს მანქანები რომლებიც აჩერებენ მატარებლებს რადიოთი.

რკინის გზის დარაჯი, როცა შენიშნავს, რომ გზა ჭამბდარია, ზის დამშვიდებით თავის სადარაჯო ოთახში, მოაბრუნებს სპეციალურ ბერკეტს და გზავნის ჰაერში რადიო-ტალღებს. ამ რადიო-ტალღებს იღებს ორთქლმავალის სპეციალური მანქანა, რომელიც ავტომატიურად აჩერებს მატარებელს.

უაღრესად პატარა საფრენი აპარატი.

ნეაპოლში ამ რამდენიმე ხნის წინათ სწარმოებდა ძლიერ პატარა აეროპლანით ფრენის ცდები. ამ აეროპლანის ფრთა უდრიდა სამ ნახევარ არშინს. მიუხედავათ იმისა, რომ ცუდი ამინდი იდგა, აეროპლანი ავიდა 4500 მეტრი სიმაღლეზე და ერთ საათში 135 ვერსი გაიარა.

ჰაერში დაბადებული ბავშვი.

გაზეთი „პტი პარიზიენ იუწყება „1923 წ. 29 აპრილს ჰაეროპლანით „მარია ანტუანეტა“ თავის ქმართან, ფრინავ პსენ ლებრიესთან ერთად აფრინდა, მისი მეუღლე ქენევიევა ლებრიე, რომელიც ფეხმძიმეთ იყო. მათ თან ახლდა ექიმი, ბებია—ქალი და ორი მომვლელი ქალი. პარიზზე 1000 მეტრის სიმაღლეზე ქენევიევა ლებრიემ ტკივილი იგრძნო და ცოტა ხანს შემდეგ შვა ვაჟი. მშობიარობის პროცესი ნორმალურად ჩატარდა. სამი საათის შემდეგ ჰაეროპლანი დაეშვა დედამიწაზე და დედა-შვილი სახლში გადაიყვანეს“.

ქრონიკა

— **წყლის საზომები.** წყალსადენის გამგეობამ გერმანიიდან მიიღო 1000 წყლის საზომები. ახლო ხანში მიიღებენ კიდევ 200.

— **„ჩვენი გზა“.** ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის დღეს 8 მარტს, გამოვა კ. პარტიის ტფ. კომიტეტის ქალთა განყოფილების მორიგი ნომერი „ჩვენი გზა“ სადღესასწაულო სახით.

— **წიგნაკები დაზღვეულთ.** შრომის ბირჟის მიერ ყველა უმუშევრებს —დაზღვეულებს, კავშირის წევრებს და უვადო შვებულებაში მყოფ წითელ არმიელებს ძველი წიგნაკების მაგიერ მიეცემათ ახალი წიგნაკები 10 მარტამდე. ვინც ამ ხნის განმავლობაში არ გამოცხადდება მოხსნილი იქნება უმუშევრობის წევრობიდან.

— **წითელი ჯვარის წევრთა ყრილობა.** წითელი ჯვარის საზოგადოების წევრთა ყრილობა შესდგება 15 აპრილს ტფილისში.

— **რეზინის-ტრესტი.** რეზინისტრესტმა თავისი საქონელი გააიაფა 20 პროცენტის დაკლებით.

— **ჯილდო საუკეთესო კოოპერატივზე.** ქართული დივიზიის სამხედრო კოოპერატივის გამგეობამ დაადგინა: დანიშნოს ჯილდო იმ სამხედრო კოოპერატივზე, რომელიც იქნება მოწყობილი და დაყენებული საუკეთესოთ.

— **მეორე კატეგორიის უმუშევარნი.** იმ უმუშევრებმა, რომელნიც ჩარიცხულნი არიან მეორე კატეგორიაში, უნდა წარმოადგინონ საბუთები მუშურ ორგანიზაციებიდან, რომ ნამდვილათ ეკუთვნიან მშრომელთა რიცხვს, რის შემდეგ მათზე გაცემული №№ ფურცლები შეეცვლებათ შრ. ბირჟის წიგნაკებზე.

— **აბრეშუმის თესლი იტალიიდან.** ა. წ. გარეშე ვაჭრობის კომისარიატმა იტალიაში შეიძინა 10,000 კოლოფი აბრეშუმის თესლი.

— **შრომის ორგანოების და დამზღვევ ორგანოების დათვალიერება.** შრომის სახ. კომისარი ამხ. მიქაძე გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში ადგილობრივ შრომის ორგანოების და დამზღვევ კასების დასათვალიერებლად.

— **შრომის ბირჟა.** 4 მარტს შრ. ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—350 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—65, მოთხოვნილება იყო—61. სამუშაოზე გაიგზავნა—80.

— **ზემო-ავჭალის ელექ. სადგური.** ზემო-ავჭალის ელექტრონულ სადგურის ამგებ კომიტეტმა მელითონეთა არტელს—შეუკვეთა მაჩტების (ბოძების) დამზადება, ზემო-ავჭალის ელექტ. სადგურიდან ტფილისათვის ელექტრონის ენერგიის მისაწოდებლად.

— **წყალი.** ავჭალის წყალსადენი ახლო ხანში ქალაქს მიაწოდებს 1 მილიონ 600 ათას ვედრო წყალს დღეში, რომელიც სავსებით უზრუნველყოფს მცხოვრებთა მოთხოვნილებას.

— **წყალ საზომების გაქირავება.** ქალ. ალმასკომმა დაადგინა ხელვიწრო მოქალაქეთ მიაქირაოს წყალსაზომები 1 ჩერ. მან. თვეში.

ჯანსახკომში.

— **ლექცია გაახალგაზრდოების შესახებ.** კვირას 9 მარტს სანიტარულ განათლების სახლში (ეგანგულოვის ქ. № 12) საღამოს 8 საათზე შესდგება ექ. ნ. ნ. ვესელოვზოროვის ლექცია გაახალგაზრდოების შესახებ გაახალგაზრდოებულ კაცის ჩვენებით.

— **სამალარიო კურსების გახსნა.** 28 აპრილს საქართველოს ტროპიკულ ინსტიტუტში გახსნილ იქნება სამალარიო კურსები.

— **კავკასიის ექიმთა საზოგადოებაში.** სამეცნიერო კომისიის სხდომა შესდგება 7 მარტს საღ. 8 საათზე ჯანსახკომისარიატში.

— **ავადმყოფების მიღების წესი.** ახალი წესით ავადმყოფები მთავარ საავადმყოფოებში მიიღებიან უშუალოდ, ჯანსახკომისარიატში გაუტარებლად, ხოლო დაზღვეულთათვის მიღების წესი რჩება უცვლელად.

რკინიგზაზე.

— **ორთქლმავლების გაფუჭება იანვარში.** იანვარში აღნიშნული იყო ორთქლმავლების გაფუჭების 14 შემთხვევა, ამ რაოდენობიდან სამგზავრო და საბარგო-სამგზავრო მატარებლებზე მოდის 4 შემთხვევა, დანარჩენი მოდის საბარგო მატარებლებზე.

— **მატარებლების დაჯახება და ლიანდაგიდან გადასვლა ა | წ. რკინიგზაზე.** იანვარში აღნიშნული იყო მატარებლების დაჯახების და ლიანდაგიდან გადასვლის 22 შემთხვევა; ამ დაჯახებებს და ლიანდაგიდან გადასვლას ადგილი ჰქონდა გზაში და სადგურებზე მანევრების დროს, მატარებლების გაწყვეტისა და მათი მიღების დროს დაკავებულ გზებზე.

— **ჭიათურის ხაზის მუშაობა იანვრის განმავლობაში.** ჭიათურის ხაზზე დღე და ღამის განმავლობაში იტვირთებოდა 77,8 ვაგონი, ამ რიცხვიდან შავი ქვაზე მოდის 77,6 ვაგონი, დანარჩენი 0,2 ვაგ. მოდის სხვა ტვირთებზე.

— **შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში წერილში „კომუნისტური ინტერნაციონალი“ მესამე სვეტში სწერია: „...მუშათა კლასს შეუძლია უბრალოდ აიღოს ხელთ მზამზარეული სახელმწიფო მანქანა და აამუშაოს ის თავისი საკუთარი მიზნებისათვის“, უნდა იყოს: „...მუშათა კლასს **არ** შეუძლია უბრალოდ აიღოს ხელთ მზამზარეული სახელმწიფო მანქანა...“

შემთხვევები.

— **ქ უ რ დ ი მ ო ს ა მ ს ა ხ უ რ ე.** 2 მარტს, დღის 1 საათზე ვერცხლის ქ. № 49, გაქურდული იქნა მელიტონ ლოლაძის ბინა მისივე მოსამსახურის კოტაშვილისაგან. წაღებულია ტანისამოსი და სამკაულო ნივთები.

— **ქ უ რ დ ი რ ძ ა ლ ი.** 2 მარტს, შუადღის 12 საათზე, საბურთალოზე გაქურდული იქნა მოქ. სარრა აბდულა კიზის ბინა მისივე რძალის იუსია აშუროვის მიერ, რომელსაც წაუღია 15 ოსმალური ლირა და 20 ჩერვონეცის ნივთები. მიღებული ზომებით ქურდი შეიპყრეს ნაქურდალი ნივთებით.

— **ქ უ რ დ ო ბ ა.** 1 მარტს. პასკევიჩის ქ. № 19, გაქურდული იქნა მოქ. ალექსანდრე სალარიძის ბინა, საიდანაც წაღებულია 250 ჩერვონეცის ნივთები.

— **შ ე პ ყ რ ო ბ ა.** 2 მარტს, დღის 12 საათზე, დეზერტირების ბაზარში შეიპყრეს ჯიბგირი, ლეო მირაკოვი სხვისი ჯიბიდან ფულის ამოღების დროს.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა
„ოტელო“-ვერდის

სახელმწიფო ოპერის პრემიერის მოსინის სასცენო ასპარეზზე 25 წლის მოღვაწეობის თავის აღსანიშნავათ, სახელმწიფო ოპერის დირექციამ განაახლა ვერდის ოპერა „ოტელო“, რომელშიაც იუბილიარი ასრულებდა მთავარ პარტიას.

ოპერა მშვენივრათ არის დასურათებული მუსიკით, მასში კარდინალური ადგილი დათმობილი აქვს ორკესტრს, მუსიკა ალაგ-ალაგ სიმფონიური ხასიათისაა.

ოტელოს პარტია მეტათ რთულია. პარტიის მოხდენილათ განსახიერებისათვის საჭიროა დიდი ხმა, ტემპერამენტი, როგორც სიმღერაში, ისე დრამატიულ გადმოცემაში, ხმის ტეხნიკის განვითარება—საჭიროა კანტილენაც.

პარტია სავსეა რეჩიტატივებით და მოკლე მონოლოგებით, სადაც მელოდია იტაცებს მსმენელს თავისი გულწრფელობით. იუბილიარი ნამდვილი დრამატიული ტენორია და ამიტომ მან მოხდენილათ ჩაატარა პარტიის ყველა პათეტიური ადგილები. მშვენივრათ იყო შესრულებული პირველი შესავალი არია, რომელიც დაწერილია მაღალი ტესიტურით.

მოსინმა დიდის ალტკინებით შეასრულა შესავალი და ყველა ის ადგილები, სადაც საჭიროა პათოსი. ნაკლებ შთაბეჭდილებას ახდენს ლირიული ადგილები, სადაც საჭიროა კანტილენა. მკრთალათ იქნა ჩატარებული ფინალის დუეტი პირველ მოქმედებაში (ოტელო და დეზდემონა). მკრთალია აგრეთვე რეჩიტატივები, სადაც საჭიროა სიმღერა და ფრაზა; რეჩიტატივები უნდა გამოხატავდენ დრამის შინაარს (განსაკუთრებით მეორე მოქმედებაში).

სამაგიეროთ ყველა პათეტიური ადგილები დიდის ალტკინებით და ხმოვანებით იყო შესრულებული. მოხდენილია მსახიობის გრიმი. კარგია დრამატიული გადმოცემა. მაყურებელი გრძნობს ტრაგედიის თანდათანობით განვითარებას, კატასტროფის მოახლოვებას.

დეზდემონას პოეტური სურათი მოგვცა ბოკოვამ. ეს მსახიობი ყველა პარტიებში დამთავრებულ სახეს იძლევა.

მოხდენილია მოქ. დეველტის გრიმი; მაგრამ პარტიის სრულ განსახიერებისათვის საჭიროა უფრო მრავალფეროვანი მიმიკა, რომელიც უნდა გამოხატავდეს იაგოს სულიერ განწყობილებას.

ცნობილი მონოლოგი „Credo“ (მე მრწამს) ერთი საუკეთესო ადგილია პარტიტურის და ის მოითხოვს უკეთეს ფრაზიროვკას და მეტ ხმოვანებას. დრამატიულის მხრივ პარტია დამაკმაყოფილებლათ იქნა შესრულებული. ვოკალურ შესრულებაში საჭიროა კორექტივის შეტანა („Credo“-სა და დიალოგებში საჭიროა უფრო ნათელი მელოდია).

კარგათ მიჰყავს ორკესტრი ვ. ფალიაშვილს. რეჩიტატივების აკომპანიმენტი მხატვრულათ არის შესრულებული. ტემპერამენტით არის შესრულებული აგრეთვე პათეტიური ადგილების აკომპანიმენტიც.

ოპერა დამთავრდა მილოცვებით. იუბილიარს მილოცეს, როგორც საზოგადოებამ, ისე ამხანაგებმა.

ჰ. ზენუთოვი.

— **რეჟისორ ბოგოლიუბოვის ჩამოსვლა.** ტფილისში ბაქოდან ჩამოვიდა რეჟისორი ბოგოლიუბოვი, რომელიც ოპერის თეატრში დადგამს „ჰოფმანის ზღაპრებს“.

— **ვანო ფალიაშვილის იუბილე.** აპრილის შუა რიცხვებში გაიმართება დამსახურებულ დირიჟორის ვანო ფალიაშვილის იუბილე. საიუბილეოთ წარმოდგენილი იქნება „ოქროს მამალი“.

— **ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას იუბილე.** კვირას, 9 მარტს, რუსთაველის თეატრში გაიმართება დამსახურებულ მწერალი ქალი—ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას 35 წლის იუბილე. იუბილიარზე სიტყვას წარმოსთქვამს ვ. კოტეტიშვილი, წარმოდგენილი იქნება რამდენიმე მოქმედება იუბილიარის პიესებიდან, შემდეგ გაიმართება საზეიმო სხდომა და მილოცვები.

— **ჟურნალი „მნათობი“.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა საქ. პოლიტ-განათლების სამხატვრო-სამეცნიერო ჟურნალი „მნათობი“, № 1.

— **პროფკავშირთა კლუბი.** დღეს პროფკავშირთა ცენტრალურ კლუბში გაიმართება რიადნოვის სტუდიის საღამო მუშებისათვის.

— **„აბესალომ და ეთერი“.** აპრილის პირველ რიცხვებში წარმოდგენილი იქნება „აბესალომ და ეთერი“ ახალი მიზანსცენებით და კოსტიუმებით.

დღეს თეატრებში.

— **ოპერა.** „ლაკმე“.

— **დრამა.** „კაცი-მასსა“.

— **სახ. სახლი.** რუსული წარმოდგენა.

კინო

„ციხე და სასახლე“

შაბათს, 1-ლ მარტს პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში საბჭოთა, პარტიულ, პროფესიონალურ და პრესის წარმომადგენელთა თანდასწრებით ნაჩვენები იქნა სურათი „ციხე და სასახლე“.

ბევრი ქება წავიკითხავს ამ სურათის შესახებ მოსკოვის ჟურნალ-გაზეთებში და უნდა ვსთქვათ, რომ სრულიად სამართლიანი.

„ციხე და სასახლე“ უდიდესი გამარჯვებაა ახალგაზრდა საბჭოთა კინემატოგრაფიის.

გამარჯვებაა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.

„ციხე და სასახლე“ ფარდას ხდის რუსეთის მშრომელთა ბრძოლის ერთ ნაწილს.

„ციხე და სასახლე“ უფრო მეტია ვიდრე უბრალო პარალელი, მაგრამ პარალელი არის უსათუოდ.

ათეული წლების განმავლობაში არსებობდენ ციხე და სასახლე, ერთმანეთის მეზობლად, მხოლოდ მრისხანე ნევა ყოფდა მათ. მაგრამ რა საშინელი უფსკრული იყო ეს მდინარე! რა საშინელი კონტრასტია ციხისა და სასახლის ცხოვრებას შორის!

ერთში ათეული წლების განმავლობაში იტანჯებოდენ მშრომელთა განთავისუფლების მებრძოლნი.

მეორეში განცხრომაში და ფუფუნებაში ატარებდენ სიცოცხლეს ტირანები, დესპოტები.

მაგრამ მეფის ციხის ჯურღმულებში წამებამ ვერ შეადრკო რევოლიუციონერთა გული.

ხელ-ფეხში ბორკილ გაყრილი ხალხი პეტრე-პავლეს ციხიდან ბრაზმორეული გასძახოდა ამაყ სასახლეს:

ძირს ტირანია, სიკვდილი დესპოტს!

სურათის შინაარსი აგებულია ნამდვილ საბუთებზე, რომელიც აღმოჩენილი იქნა რევოლიუციის შემდეგ.

მაყურებლის თვალწინ ცოცხლდებიან დაღუპულ რევოლიუციონერთა სახეები: ნეჩაევი, კიბალჩიჩი, პეროვსკაია, გრინევეცკი, № 2 საკანის საიდუმლო ტუსაღი შეიხი-ბეიდემანი, რომლის ვინაობა მხოლოდ რევოლიუციის შემდეგ გამოირკვა.

სურათის პირველი სამი მოქმედება, (ბეიდემანის ახალგაზრდობა) უსათუოდ სუსტია.

მაგრამ დანარჩენი ნაწილები ბოლომდის იპყრობს მაყურებლის მთელს ყურადღებას, აღტაცებას იწვევს.

საუცხოოა გრიმი, საუცხოოა დადგმა, საუცხოოა შესრულება.

არაჩვეულებრივია მსახიობი ბორონიხინი ბეიდემანის როლში, მსახიობი შიშკო—ნეჩაევის როლში, მსახიობი დობროვოლსკი ალექსანდრე მეორეს როლში.

დაუვიწყარია სცენა ალექსანდრე მეორეს მოკვლის, ბეიდემანის ციხეში წამების და შემდეგ ჭკუაზე შეშლის.

სცენარი იდეოლოგიურად გამართლებულია.

„ციხე და სასახლე“ ისტორია არის რუსეთში მშრომელთა განთავისუფლების ბრძოლის ერთი ნაწილის.

ახლო ხანში რუსეთში იღებენ სურათს „რკინის რაზმი“ (პარტიის ისტორია).

„ციხე და სასახლე“ საუცხოო შესავალი იქნება ამ სურათისათვის, რადგან თვითმპყრობელობის დამხობის საათმა დაჰკრა მაშინ, როცა მშრომელთა გულის მესაიდუმლე გახდა მუშათა კლასის პარტია.

კარგი იქნებოდა, რომ ამ სურათს უჩვენებდენ მუშათა უბნებში, რომ ყველა მშრომელს მიეცეს მისი ნახვის შესაძლებლობა.

ჩ.

ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას იუბილესათვის

მოწოდება

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირისა და ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას საიუბილეო კომიტეტისა

მარტის 9 სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის დადგენილებით რუსთაველის თეატრში იმართება იუბილე მწერალ ქალის ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი მისი 35 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად.

ძნელად თუ მოიპოვება ისეთი ქართველი მკითხველი, რომელსაც არ წაეკითხოს მისი მოთხრობები: „ეკლესიის გარშემო“, „ბედის ტრიალი“, „ლაზარემ გადააჭარბა“, „მიწა“ და განსაკუთრებით მისი დიდი რომანი „მოლიპულ გზაზე“.

პირადათ ამ მხცოვან მწერალ ქალს ბევრი არ იცნობს, იგი მეტად მორცხვი და მოკრძალებულია; იგი მკითხველს ჰხიბლავს თავისი სტრიქონების სურნელებით, თვითონ კი ეფარება ოჯახის კერას და მყუდრო მუშაობას ეწევა.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია თითქმის ერთად ერთი მწერალი ქალია, რომელმაც დასძლია საქართველოში რომანის წერის სიძნელე და გვერდში ამოუდგა ჩვენს საუკეთესო რომანტისტებს.

ერთგული მეგობარი და მეუღლე პოეტის დუტუ მეგრელისა, მრავალი შვილების დედა—ანასტასია ერისთავი-ხოშტარია ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს ქართველი ქალის სულის სიძლიერის, რომ ქართველ ქალს შეუძლიან ერთსა და იმავე დროს იყოს ნამდვილი დედა და საზოგადო მოღვაწეც.

მისი დღესასწაული არის ქართული მხატვრული პროზის, ქართული რომანის დღესასწაული.

ჩვენ გვწამს, რომ მარტის 9 ქართველი საზოგადოება მოკრძალებით მიესალმება დამსახურებულ იუბილიარს, მხურვალე მონაწილეობას მიიღებს მის საზეიმო საღამოში და თანაგრძნობით გაუთბობს იმ გულს, რომელიც თავისი ხალხისადმი სიყვარულით მუდამ სჩქეფს.

საიუბილეო კომიტეტის საპატიო თავმჯდომარენი:

დავით კანდელაკი.
მარიამ ორახელაშვილი.

საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე კოტე მაყაშვილი.

წევრები: აბაშელი ა., არაგვისპირელი შიო, ბარნოვი ვასილ, გაბაშვილი ეკატერინე, განდეგილი დომენიკა, გრიშაშვილი, დადიანი შალვა, დავითაშვილი ნინო, იაშვილი პაოლო, ინგოროყვა პავლე, კლდიაშვილი დავით, მარჯანიშვილი კოტე, მგალობლიშვილი ს., ნაკაშიძე ნინო, რობაქიძე გრ., რუხაძე ვ., საყვარელიძე პავლე, ქიაჩელი ლეო, შანშიაშვილი სანდრო, ჩხეიძე დავით.

მდივანი: მიხ. ზოპერიაშვილი.

პროვინციაში

საქართველოს გასაბჭოების 3 წლის და წითელი არმიის ექვსი წლის თავის დღესასწაული ქუთაისში

თებერვლის 24-ს მე ჩავედი ქუთაისში და ვინახულე წითელი არმიის ნაწილები. ქუთაისის მუშები სტუმრათ იყვნენ წითელარმიელებთან. წითელარმიელთა ცხოვრების პირობების გასაცნობათ ისინი ათვალიერებდენ წითელ ყაზარმებს.

თებერვლის 25 ს საქართველოს გასაბჭოების დღეს ქალაქის სამ პუნქტში შეიკრიბენ მუშები წითელარმიელებთან ერთად. ამ კრებებზე სამოქალაქო და სამხედრო ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ გაკეთებულ იქნა ვრცელი მოხსენებები საქართველოს გასაბჭოების 3 წლის და წითელი არმიის 6 წლის თავის შესახებ. მიტინგების დამთავრებისას, ყველა მუშები და წითელარმიელები გაემართენ ყოფილი „სობორის“ მოედნისკენ. კარგად შეკეთებულ სახლის აივნიდან გახსნილი იქნა მიტინგი გლეხი ი. ხარებაძის მიერ, რომელმაც ქართულ ენაზე დაახლოვებით წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა: „საქართველოს გასაბჭოების 3 წლის თავის აღსანიშნავად ქუთაისის მუშები ხსნიან გლეხის სასახლეს, ვ. ი. ლენინის სახელობისას, რომლის აძღვნაც ძვირფასია ჩვენთვის. ქალაქისა და სოფლის დაახლოვების განსახორციელებლად ჩვენ ვაწყობთ გლეხის სასახლეს, რომელშიც ქალაქში ჩამოსული გლეხები ნახავენ მოსვენებას და მიიღებენ რჩევა-დარიგებას, რომელსაც ისინი დიდათ საჭიროებენ. გლეხის სასახლეს ჩვენ ვხსნით იმ სახლში, რომელშიც ცარიზმისა და მენშევიკების დროს მოთავსებული იყო შავიქვის მრეწველთა სამმართველო და სადაც კაპიტალისტების მიერ მუშავდებოდა პროექტები მუშათა კლასთან ბრძოლისა. დეე, ეხლა ამ კულტურულმა კერამ თვალები აუხილოს კიდევ ნაკლებად შეგნებულ გლეხებს, თუ საით მიჰყავდა ისინი მენშევიკურ ხელისუფლებას, რომელიც ხელჩაკიდებული მუშაობდა კაპიტალისტებთან და ყოველგვარ შეღავათს და დახმარებას უწევდა მათ. საქართველოს მუშები და გლეხები ვერ დაივიწყებენ მენშევიკებს, მუშებისა და გლეხების გამყიდველ მენშევიკების ბატონობას.

გაიხსენეთ მენშევიკების დაუსრულებელი ომები მათი ბატონობის 3 წლის განმავლობაში. საქართველოს მინდვრები მორწყულია, ერთის მხრივ, მუშათა და გლეხთა სისხლით, და მეორეს მხრით, დედების, მამების, დების ცრემლით.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ამის მსგავსი არაფერია. საბჭოთა ხელისუფლებამ დაამყარა მშვიდობა. მუშებს და გლეხებს მშვიდობიანი შრომის საშუალება მიეცათ. ყველა ეს იმ წითელ არმიის წყალობით, რომელიც ამ წამში თქვენთან ერთად სდგას. ამხ. წითელარმიელებო, თქვენ როცა დაბრუნდებით თქვენს სამშობლოში, გადაეცით იქ, თუ როგორ დღესასწაულობს საქართველო თავის განთავისუფლებას რუსეთის წითელ არმიის საშუალებით“. ამხ. ხარებაძე თავის სიტყვას ამთავრებს მისალმებით. იმის სიტყვა იმდენათ მგრძნობიარე იყო, რომ ბევრი დამსწრე მუშებს და წითელარმიელებს ცრემლი მოერიათ. ამხ. ხარებაძის სიტყვა გადათარგმნილ იქნა რუსულ ენაზე.

დ. რუხაძე.

შეფები ეხმარებიან გლეხებს
(გორის რაიონი, გორის მაზრა)

გორის რაიონი შესდგება 55 სოფლისაგან. შეფობა არის ჯერ-ჯერობით ამ რაიონში მხოლოდ სამ ალაგას: სოფ. ქახვრელში, ხიდისთავში და ატენში. ატენის შეფად არის ტფილისის 2 რაიონის მეტყველთა კომუჯრედი, რომელმაც, სხვა დახმარების გარდა ამ წინათვეებში, ა | წ. თებერვალში მოუტანა ატენის ღარიბის გლეხობას 2,000 არშინი ფართლეული, რომელიც დაურიგა მათ ნახევარ ფასში ბაზრის ფასთან შედარებით, მაგალითად, 60 მილიონი მან. არშინი ჩითი, როდესაც ბაზარზე იყიდება 140 მილიონ მან. და სხვა.

ს. ხიდისთავის შეფად ითვლება რკინისგზის ჯანმრთელობის განყოფილება, რომელმაც, სხვადასხვა დახმარების გარდა, ამ ბოლო დროს გააკეთა ს. ხიდისთავში რკინისგზის პლატფორმა, სადაც მატარებელი ჩერდება ხოლმე, აძლევს სოფელს სამკურნალო დახმარებას და მედიკამენტებს უფასოდ, ეხმარება სასწავლო ნივთებით და წიგნებით.

სოფ. ქახვრელის შეფობა იკისრა ტფილისის პაპიროზის მკეთებელმა ფაბრიკის მუშებმა, რომლებმაც მოუტანეს ამ სოფელს სასწავლო ნივთები და წიგნები, 100 არშინი ფართლეული ღარიბების მოწაფეების შესამოსათ, და ჩვენი ბელადის ამხ. ლენინის სურათი.

უცხადებთ აღნიშნულ შეფებს დიდს მადლობას ამნაირი მოღვაწეობისათვის და უსურვებთ შემდეგშიც არ მოგვაკლონ დახმარება, რომ მალე გამოიყვანონ მდაბიო გლეხობა სიბნელისა და გაჭირვებული მდგომარეობიდან.

გორის რაიკომის 3 | მ მდივანი
ეჯ. ხიაბაშვილი.

ს. ასურეთი (ტფილისის მაზრა)

ორშაბათს, 25 თებერვალს, საქართველოს გასაბჭოების სამი წლის თავის აღსანიშნავად სოფ. ასურეთში შესდგა დიდი მიტინგი. თუმცა ამინდი ხელს არ უწყობდა, მაგრამ მიუხედავად ამისა დილიდანვე ირგვლივ მყოფ სოფლებიდან თავს იყრის მშრომელი გლეხკაცობა. ყველა თავიანთ საკრავით და სიმღერით, უკვე 12 საათზე კარლ ლიბკნეხტის მოედანზე გამწკრივდნენ: ცხენოსანთა რაზმი, შემდგარი რაიმილიციონერებისაგან და ადგილობრივ მცხოვრებლებისაგან, აგრეთვე ა. ქ. ქ., საყოველთაო სამხედრო სწავლის წევრები, მოსწავლე ახალგაზრდობა და მშრომელი საზოგადოება. პარადს ხელმძღვანელობდა რაიმილიციის უფროსი ამხ. ზაქარაია. მიტინგი გახსნა რაიკომის ორგანიზატორმა ამხ. ყვირილიანმა. ილაპარაკეს: შეფთა კომისიის წევრებმა, ტფილისის კომიტეტის წარმომადგენელმა, ადგილობრივ ალმასკომის თავმჯდომარემ, სკოლის გამგემ, აგრონომმა და სხვებმა, რომელთაც აღნიშნეს 25 თებერვლის მნიშვნელობა და ამ სამი წლის დაუღალავი მუშაობა საბჭოთა მთავრობისა. მიტინგის შემდეგ პროცესია გაემგზავრა ძმათა სასაფლაოზე, სადაც იყო წარმოთქმული რამდენიმე ორატორის მიერ სიტყვები, და მის შემდეგ კლუბის შენობისკენ. ადგილობრივ დრამატიული წრის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნა პროლეტარულ პოეტის სანდრო ეულის ფანტასტიური პიესა 1 მოქ. „აღთქმულ ქვეყნისკენ“. დასასრულს—მხიარული კომედია ა. ცაგარლისა: „რაც გინახავს, ველარ ნახავ“. დამსწრე საზოგადოება სიამოვნებით ყურს უგდებდა ორივე პიესას. წარმოდგენის გათავების შემდეგ ხალხი დაიშალა.

მუშკორი მონაწილე.

დლიობა გვსურს, ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ამ კავშირში.

მეორე და მესამე ინტერნაციონალი.

მეორე ინტერნაციონალი იმედებით გვკვებავდა. ჩვენ მან დათვური სამსახური გაგვიწია ამ იმედებით. ის დამარცხდა ჩვენ საკითხში.

მეორე ინტერნაციონალი დამარცხდა საერთაშორისო მასშტაბითაც. მან ვერ აამოძრავა მასში თავმოყრილი მრავალი მუშები ასეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო საკითხების გამო, როგორიც არის რურის, საკონტრიბუციო და სხვა.

ბოლშევიკებს ეხერხებათ სიტყვის საქმით გადაქცევა. მესამე ინტერნაციონალი ამ მხრივ უფრო მოძრავია, უფრო ხერხემლიანია.

პირადათ მე არც მესამე ინტერნაციონალი მაკმაყოფილებს, მასაც ჰქონდა შეცდომები და ისიც ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება, და არ ვიცით რა გზას დაადგება. საბჭოთა რუსეთის საზღვარგარეთელი სახელმწიფოების ცნობის შემდეგ, შეიძლება ახალი ინტერნაციონალი დაარსდეს მომავალში.

ჩემი პოზიცია.

დღეს კი მე ხელში მიკავია მუშათა კლასის დიქტატურის დროშა, თუმცა კომინტერნს არ უერთდები და ამიტომ ვერც ყოფილ მენშევიკთა ყრილობის პლატფორმას ვიზიარებ სავსებით.

უნდა შეიქნეს თანამშრომლობის საშუალება, დავანებოთ თავი მაკდონალდის და სხვათა იმედებს. თუ კომპარტიის მე-12 ყრილობის დადგენილებები გატარდა სავსებით, ამით საუკეთესო პირობები შეიქმნება საქართველოს განვითარებისთვის. მე ბრძოლას ვუცხადებ ინტერვენციის და ავანტიურის გზას და ამაში ბოლომდე დაუნდობელი ვიქნები.

კამათი

მოხსენების დასასრულ შემოდის უამრავი წერილობითი შეკითხვები, რომლებიც [illegible] მენშევიკურ [illegible] ცეკას ჩვეულებრივ [illegible] წარმომადგენს. იყო საქმიანი ხასიათის შეკითხვები და წერილებიც, რომლებზე ნაწილობრივ მომხსენებელმა თავის საბოლოო სიტყვაში გასცა პასუხი, ზოგს კი დაპირდა პასუხის გაცემას პრესის საშუალებით და აგრეთვე მოხსენების განმეორებით წაკითხვის დროს.

ამხ. ს. ორჯონიკიძის სიტყვა

პირველ სიტყვას ამბობს ამხ. სერგო ორჯონიკიძე, რომელსაც დარბაზი ხანგრძლივი მხურვალე ტაშის ცემით ეგებება.

6 წელმა განვლო მას შემდეგ, რაც უკანასკნელათ ს. დევდარიანთან მქონდა კამათი იმ საჭირბოროტო საკითხებზე, რომელსაც დღეს დევდარიანი შეეხო თავის საინტერესო მოხსენებაში. ბევრ იმას, რაც მაშინ ს. დევდარიანს სიმართლედ მიაჩნდა. დღეს ის ყარამალა აყენებს. მას ჯერაც ვერ უპოვია სწორი გზა. დევდარიანი დღესაც დიდ რყევას განიცდის. დღეს ჩვენ არ ვფიქრობდით და არც ვფიქრობთ შევეხოთ არსებით მის მიერ წამოყენებულ კითხვებს და დებულებებს, რომელიც რასაკვირველია სწორად არ მიგვაჩნია. ამას ჩვენ სხვა დროს შევეხებით.

დღეს ვეხებით მხოლოდ მის უკანასკნელ განცხადებას, ვითომცდა საქართველოში ქართველ ერს უნდობლობის თვალით უყურებდენ, ვითომ და ქართველს საქართველოში შრომის უფლება არ ჰქონდეს, ვითომ და შტატების შემცირების დროს ჯერ მენშევიკს სტოვებდენ სამსახურის გარეშე, მერე საზოგადოთ ქართველს და მათ მაგვარად სტოვებდენ სომხებს და რუსებს, საზოგადოთ არაქართველებს; კიდევ მეტი, თითქოს ჩვენ, ქართველები საქართველოდან სომხეთ-ადერბეიჯანში გადაგვყავდეს და იქიდან სომხები და თათრები გადმოგვყავდეს აქ. ჩვენ ვფიქრობთ ასეთი ბრალდებების წამოყენება უბრალო სიტყვებით შეუძლებელია, აქ საჭიროა ფაქტები; და ეს მით უფრო საჭიროა ს. დევდარიანისაგან, რომელიც გულწრფელად ეძებს ჩვენთან საერთო ენას.

აქ, ამ კრებაზე მე ვხედავ ერთ მოქალაქეს, რომელსაც არა ერთხელ უთქვამს ჩემთვის იგივე, რაც აქ სთქვა ს. დევდარიანმა. მე მას არა ერთხელ და ორჯერ ვსთხოვე მოეყვანა მაგალითები, დაესახელებია დაწესებულება, სადაც ასეთი ბოროტმოქმედება ხდება, მოეყვანა გვარი და სახელი იმ პირებისა, რომელნიც სამსახურიდან დათხოვნილი იყვნენ და არ მიიღეს იმ მოსაზრებით, რომ იგი ქართველია.

მე ეხლაც ასე ვაყენებ ამ კითხვას და ვსთხოვ ყველას და მათ შორის პირველად ს. დევდარიანს დაასახელონ დაწესებულება, გვარი, სახელი, ერთი სიტყვით მოიყვანონ ფაქტები და ჩვენ საჯაროთ ვაცხადებთ, რომ ასეთ ბოროტმოქმედს სასტიკათ დავსჯით.

მხოლოდ ვერ დაუფიცავთ ვერავის და ეს მე კრძალვით უთხარი ს. დევდარიანს, რომ იმ მენშევიკებს, რომელნიც საქართველოს ბედიღბალს დასავლეთის იმპერიალისტების და შინაური ბანდიტების ხელს აძლევენ, ქართველ გლეხს და მუშას სისხლის ღვრას უმზადებენ. მათ ჩვენ არა თუ სამსახურიდან გავაგდებთ, არა თუ უნდობლობის თვალით უყურებთ, არამედ ისინი ჩვენი მტრებია და მტერთან კი ჩვენ სასტიკ ბრძოლას ვეწევით. ჩვენ არ ვფიცავთ, რომ ქართველი ერი ჩვენ მთლიანად არ მიგვაჩნია, ჩვენ გვწამს ერი მუშის და გლეხის, მზად ვართ მისი ინტერესების დასაცავათ უკანასკნელი სისხლის წვეთი შევსწიროთ.

ჩვენ მზათ ვართ ძმური, ამხანაგური ხელი გაუწოდოთ ქართველი ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც მიზნათ ისახავს ემსახუროს ქართველ მუშას და გლეხს, მხოლოდ ჩოლოყაშვილის ქართველებს ჩვენ შავრაზმელებს ვუწოდებთ, ქართველი ერის მოღალატედ ვაცხადებთ და სასტიკ ბრძოლას ვაწარმოებთ მათ წინააღმდეგ.

ამით ვათავებ ჩემს მოკლე სიტყვას და მომხსენებლის პრინციპიალურ დებულებათა განხილვას კი სხვადროს დაუბრუნდებით.

ორატორი დ. ხარტიშვილი

ილაშქრებს ს. დევდარიანის წინააღმდეგ, ამხილებს ზოგიერთ ფაქტებს მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოქმედებიდან საქართველოს გასაბჭოებამდე, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მუშათა მასების სულისკვეთებას ბელადები ანგარიშს არ უწევდენ. ორატორი ამის გამო ჩამოსცილდა მენშევიკურ პარტიას და დღეს სეით დევდარიანის გზაზე უფრო სწორათ მას ყოფილ მენშევიკთა ყრილობის პლატფორმა მიაჩნია.

ფარნიევის სიტყვა.

მშვენიერი მოკლე კრიტიკული პასუხი გასცა მომხსენებელს **ხ. ფარნიევმა**, რომელმაც ამხილა გაურკვევლობა მისი პოზიციისა.

დევდარიანმა სთქვა, რომ ჩეკამ აჯობა არალეგალურ ცეკასა, აღმოაჩინა ყველაფერი ცისა მიწერ მოწერაო, და ეს ძალიან სასიხარულოა, რომ ჩეკას ის საბუთები არ ენახა დევდარიანი დღესაც ძველ პოზიციებზე დარჩებოდა.

ჩვენ თავიდანვე ვარწმუნებდით ს. დევდარიანს ცეკას პოლიტიკის დამღუპველობაში, მაგრამ ის გვეკამათებოდა, გვეცხადდა ისევე, როგორც მას კიცხავს დღეს არალეგალური ცეკა.

დღეს ის დაუახლოვდა ჩვენს პოზიციებს და ამბობს, რომ ბოლშევიკებმა მენშევიკების სიტყვა საქმედ აქციესო, მაგრამ მაინც ვერ უერთდება კომინტერნს, თუმცა მეორე ინტერნაციონალი არ მოსწონს. ბელადი ასეთ გაურკვევლობაში არ უნდა იყოს. ის ამბობს—შეიძლება მომავალში სხვა ინტერნაციონალი დაარსდესო, მაგრამ მანამდე რა უნდა ვაკეთოთ? ამას ვერ გვეუბნება. და მე ვფიქრობ, რომ ყოფილ მენშევიკთა კონფერენციამ უფრო სწორი გზა აირჩია და რაც დროზე ამოირჩევს ამ გზას დევდარიანი—მით უკეთესი.

არჩილ რუხაძე

არჩილ რუხაძეც იმავე აზრებს იცავს როგორც ფარნიევი. არც ერთი ინტერნაციონალი არ ვარგაო, ამბობს დევდარიანი. ეს გაუგებრობის და ბუნდოვანების ნიშანია და მენშევიკთა პარტიის ყოფილი წევრი მუშები ამ გზით ვერ წავლენ, მათ თავის ბელადზე უფრო ადრე აღმოაჩინეს უფრო სწორი გზა—კომინტერნისაკენ.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ კრება იხურება ღამის 3 საათზე.

მუშათა ცხოვრება

მეტალისტთა კლუბი

(მეტალისტთა კავშირის კულტგანყოფილების საყურადღებოდ).

მეტალისტთა კავშირს აქვს ორი მუშათა კლუბი; ერთი მათგანი ამხ. ბაგრატ მაჩაიძის სახელობისა, რომელიც მოთავსებულია ყოფილ „ზომონდი"-ს შენობაში, მეორე კი ს. მ. უ. ს. ლითონის განყოფილების 26 კომუნარის სახელობის ქარხანაში,—ნაძალადევში. პირველ კლუბში მოთავსებულია პატარა სცენა, სამკითხველო და ხშირად იმართება ხოლმე უშინაარსო პროგრამის საღამოები. ეს კლუბი მოთავსებულია ქალაქის ცენტრში, და მუშები აქ ნაკლებად დაიარებიან. კლუბში დაიარება უმთავრესად შემთხვევითი მოსიარულე ხალხი; მათში მუშები არ არიან; ბაზრის ბიჟობა აქ იკრიბება თავის გასართობათ და ხშირად ლაზღანდარობასაც აქვს ხოლმე ადგილი.

მეორე კლუბი მოთავსებულია ნაძალადევში 26 კომუნარის სახელობის ქარხანაში. ეს კლუბი სრულებით არ მოქმედობს, რაც მიეწერება კავშირის კულტგანყოფილების სისუსტეს. კლუბში მოთავსებულია სცენა, არის მაგიდები. მაგრამ არ არის ფარდა, დეკორაციები, რეკვიზიტი, მუტაფორია და სხ. საჭირო საკლუბო ნივთები და კლუბი დაკეტილია.

ჩვენი მუშები უმთავრესად სცხოვრობენ ნაძალადევში და მის ახლომახლო რაიონებში. აქ კლუბი კი მათთვის დაკეტილია, რადგანაც არც წარმოდგენები, არც კინო, არც ლექციები არ იმართება იქ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კარგიც იქნებოდა, რომ ყოფილ „ზომონდში" მოთავსებული კლუბი ამხ. მაჩაიძის სახელობისა გადმოტანილ იქნეს მუშათა რაიონში, სახელდობრ 26 კომუნარის სახ. ქარხანაში, სადაც უნდა გაცხოველდეს კულტურული მუშაობა: მოეწყოს თვითმოქმედების საღამოები, ლექციები, კონცერტები, წარმოდგენები ადგილობრივი მუშებისთვის, რაც უფრო მიზანშეწონილი და სასურველი იქნება.

ამ ჟამად კი ჩვენ გვაქვს 2 კლუბი და არც ერთში ხეირიანათ საქმე არ არის დაყენებული. ეს აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

მუშკორი მეტალისტი.

საჭიროა სასწრაფო დახმარება

(მაღაროების მუშათა ცხოვრებიდან).

ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების მუშა-მოსამსახურენი ჯამაგირს ღებულობენ საქონლის მანეთით თვეში ერთხელ. თვის 22 რიცხვში ცხადდება საქონლის მანეთის ღირებულება და ქირის უწყებები დგება 22 კურსის გამოანგარიშებით მეორე თვის 8—10 რიცხვამდი და ხან კი მეტიც აგვიანდება, ასე რომ—22 რიცხვში გამოცხადებულ საქონლის მანეთის კურსს ჩვენ ვღებულობთ ხელფასს 18 დღის შემდეგ. ამით ხელფასს თავისი ნახევარი ღირებულება ეკარგება. ასე რომ ჩვენ ჯამაგირის მიღებამდე კიდევ ცხადდება ორჯერ საქონლის მანეთის კურსი, ჩვენ კი ორი კვირის წინედ გამოცხადებულ კურსით ვიღებთ. აქედან ცხადია, რომ ჩვენთვის საქონლის მანეთი არავითარ რეალურ ხელფასს არ წარმოადგენს. უკანასკნელ ხანებში უმრავლესობა სხვადასხვა დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირის მიღება გადავიდა ჩერვონეცის მანეთზე გამოანგარიშებით, რაც პროვინციაში წარმოადგენს უფრო რეალურ ხელფასს მუშისას, რადგან —ჩერვონეცის მანეთით გამოანგარიშებულ ხელფასს, თუ გინდ ის ბონებით მიიღოს მუშამ, მაინც მიღების დღის კურსით მიიღებს და თითქმის არაფერს ჰკარგავს. აქვე, მაღაროებშივე მედიკ-სანიტ.-თანამშრომლებმა ამათივე კავშირის მოთხოვნით და ადმინისტრაციასთან შეთანხმებით საქონლის მანეთი გადაიყვანეს ჩერვონეცის მანეთზე 60 პროცენტი მეტის მომატებით და იმასაც მიიღებენ იმ დღის კურსით, რა დღესაც ჯამაგირს მიიღებენ, თუ კი ეს მათ დაურიგდებათ ბონებით. ასე მოიქცა მედიკ-სანიტ.-მუშაკთა კავშირი. ასევე უნდა მოიქცეს მაღაროების მუშათა პროფ-კავშირიც, რომლის მოვალეობას შეადგენს ამ არა ნორმალურ მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორება, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ვსთქვათ, რომ არ იქნება მუშათა ეკონომიური მდგომარეობა ოდნავადაც მაინც დაცული. მით უფრო ეს მდგომარეობა მოითხოვს სასწრაფოდ გამოსწორებას, რადგან დღემდის მაღაროების სამმართველო მუშებს ურიცხავდა სურსათ-სანოვაგის ღირებულებას ჩერვონეცის მანეთის კურსით—იმ დღის კურსით, რა დღის კურსითაც მუშები იღებდენ ჯამაგირს—დღეს კი სურსათ-სანოვაგის დარიგების კოოპერატივის ხელში გადასვლით მუშებს ერიცხებათ წაღებული სურსათი საფასურით იმ დღის კურსის მიხედვით, რა დღესაც მუშა ჯამაგირს იღებს—ე. ი. ჯამაგირი მიიღე 22-ის კურსით—სურსათის საფასური კი გამოგირიცხეს—მეორე თვის 8-ის კურსით. ამას ისიც დაუმატეთ, თუ რამდენ ღირებულებას კარგავს ფული 18—19 დღის განმავლობაში და თქვენთვის აშკარა შეიქნება, თუ რას ღებულობს დღეს ტყიბულის მაღაროების მუშა ხელფასად.

ეს მოვლენა არ არის ნორმალური და მას ბოლო უნდა მოეღოს დაუყოვნებლივ.

მუშკორი ო კილავ—ში.

შორაპნის მუშათა კლუბი

(ხაშურის საუბნო კავშირის საყურადღებოდ)

შორაპნის მუშათა კლუბს არავითარი განსხვავება არ აქვს სამიკიტნოსთან. პირიქით, აქ უფრო ფართოდ არის გამეფებული სამიკიტნოს კანონები. მუშათა კლუბი თავის მიზნით წარმოადგენს ერთად-ერთ კუთხეს მუშისთვის, რომ მუშამ თავისუფალი დრო მავნე ადგილებში არ დაკარგოს და აქ (კლუბში) დაეწაფოს თვითგანვითარების საქმეს, რისთვისაც კლუბში მოწყობილია სხვადასხვა გასართობებიც. მაგრამ შორაპნის კლუბში კი ასე არ ხდება. აქ გართობას მხოლოდ ღვინოში ჰპოულობენ ზოგიერთი ამხანაგები.

იმ დროს, როდესაც შორაპანი ლოთობის და სამიკიტნოების ბუდედ არის გადაქცეული, რაღად ესაჭიროებათ კიდევ მუშათა კლუბშიაც ასეთი მახის მოწყობა. შორაპნის ადმინისტრაცია ამ გარემოებას ძალიან გულგრილად ეპყრობა, რაც, ჩვენის აზრით, ყოვლად დაუშვებელია.

შორაპნელმა ამხანაგებმა უნდა წაბაძონ ტფილისელ მოწინავე ამხანაგებს, რომლებმაც არა თუ კლუბში, არამედ მთელ მუშათა რაიონში (ლენინის უბანში) დახურეს სარდაფებ-სამიკიტნოები.

ტფილისელი მუშკორი უკა.

მუშათა უბნებში მაინც უნდა მოვსპოთ ქურდობა

(ქალაქ. აღმასკომის საყურადღებოდ).

ავლაბარში, ბაიდარის ქუჩაზე, დაიკარგა ბოძიდან 2 ელექტრონის ლამპა. ამას გარდა ჩვენი ელექტროსადგურები ვითომ და ეკონომიის მიზნით ღამის 2 საათზე აქრობენ ლამპებს. აი სწორედ ამ დროს, როდესაც ლამპები ქრება ქუჩებზე ღამის 2 საათზე, ამით სარგებლობენ ქურდები, ხსნიან ლამპებს, ტეხვენ სახლებს და საშინლად ქურდობენ და აქა მცხოვრებ მუშებს და ღარიბ მოსახლეობას უკანასკნელ სალსარს ხელიდან აცლიან. ამიტომ აქაური მუშების სახელით ვსთხოვთ აღმასკომს, რომ მან გასცეს განკარგულება ამ ქუჩაზე ღამით არ ჩააქრონ ლამპები და გააძლიერონ მილიციელების სიფხიზლე და საქმიანობა.

მუშკორი ი. ჯ.

ამ მოვლენას ბოლო უნდა მოეღოს

(ჩვენი სამტრედიელი მუშკორისგან).

1922 წ. ქ. სამტრედიაში დაარსდა ქალაქის პროფკავშირში შრომის ბირჟის სექცია, მაგრამ 1923 წელს 15 აპრილს ეს სექცია ისევ გაუქმდა პროფკავშირისთვის დიდი ხარჯების გამოწვევის გამო, უმუშევრები კი გაისტუმრეს უარისყოფით. თუ სადმე დაწესებულებაში მუშა-ხელზე მოთხოვნილება იქნებოდა, პროფკავშირის გარეშე ღებულობენ მუშებს ზოგს პროტექციით, ზოგს ნათლიმამობით და სხვა. ყოველივე ეს კი იწვევს დიდ გაუგებრობას და უსამართლობას. მაგალითად, პეტრე გოგიშვილი მსახურებს სამტრედიის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიის საქმის მწარმოებლათ 12 საათიდან 3 საათამდე, ამავე დროს კი ის კიდევ მსახურებს სამტრედიის მახლობლად სოფ. საჭილაოში 4 კლასიან სასწავლებელში მასწავლებლად 9 საათიდან 12 საათამდე, შემდეგ მიდის სამტრედიის გიმნაზიის კანცელარიაში და ამ რიგად ის ღებულობს ორს ჯამაგირს, როდესაც სხვა უმუშევრებს ერთი სამსახურიც არა აქვთ და სიმშილობენ. ასეთ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს ცენტრალურმა პროფკავშირმა და შეასუსტოს უმუშევრების რიცხვი ყველა იმათი მოხსნით, ვინც ორ ადგილას მსახურებენ და ორმაგ ჯამაგირს იღებენ.

ასეთი მოვლენები ძალიან ხშირია სხვა ადგილებშიც. საჭიროა ამას ბოლო მოეღოს ერთხელ და სამუდამოდ.

ინფორმატორი უმუშევარი.

მუშათა ქრონიკა

საბუხჰალტრო კურსები მუშებისათვის.

ტფილისის საქონლის სადგურის მუშათა ადგილკომის აუდიტორიაში გაიხსნა საბუხჰალტრო კურსები ქართულ ენაზე.

სწავლა იქნება საღამოობით 5 საათიდან 7 საათამდე. სწავლის გადასახადი მუშა-მოსამსახურეთათვის იქნება თვეში ოთხი ჩერვონეცის მანეთი.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ საბუხჰალტერო კურსების გამგე ივანე ზაქარიას ძე ტერსტეფანოვთან.

ადგილკომის მდივანი ალ. ჩიგოგიძე.

ბიბლიოგრაფია

სარგის კაკაბაძე
საისტორიო ძიებანი

სახელმწიფო გამომცემლობა 1924 წ.

ეს ახალი სამეცნიერო შრომა ს. კაკაბაძისა წარმოადგენს მონოგრაფიულ გამოკვლევებს ცალკე საკითხების შესახებ და საინტერესოა იმ მხრით, რომ იგი გადაგვიშლის ახალ ისტორიულ პერსპექტივებს ჩვენი საისტორიო მწერლობის კვლევა-ძიების სფეროში.

ავტორს გაშუქებული აქვს ზედიზედ ერთი მეორეზე ფრიად საინტერესო საკითხები, როგორიცაა: 1. სახარების ქართულ თარგმანთა შესახებ მე-5 ე და მე-6-ე საუკუნეში ხან მეტ ტექსტებთან დაკავშირებით (გვ. 1—37). 2. როდის არის დაწერილი ტრაქტატი-განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა (გვ. 38-55). 3. მოქცევაი ქართლისაი (გვ. 56 92). და 4. ძველი ქართული მატიანეები. (93-191). წიგნის შინაარსი უმთავრესად შეიცავს ჩვენს ქართულ საისტორიო დარგში ამ ბოლო ხანებში აღმოჩენილი მნიშვნელოვანი და საყურადღებო ფაქტების თავისებურ გაშუქებას.

ავტორის აზრით, ჩვენი უძველესი მატიანეთა კრებულები თავის პირველ ნაწილებში წარმოადგენს კრებულს რამდენიმე დამოუკიდებლად შედგენილ თხზულებათა:

პირველი—„მამათა ცხოვრება" შედგენილია დაახლოვებით მე-5-ე საუკ. მეორე—„ფარნავაზის ცხოვრება" მიეკუთვნება აგრეთვე მეხუთე საუკ. მეორე ნახევარს, მესამე—შემდეგი „მეფეთა ცხოვრება, მარიამ დედოფლის ქ. ცვაში წარმოდგენილი ხაზართა გამოსვლის ამბიდან ვიდრე მირდატ ფარსმან მეფის ძის მეფობამდის, უნდა იყოს შემდეგ დროინდელი ნართაული და შედგენილია მე-7-ე საუკუნის ნახევარში. ცნობილი ჯუანშერის მატიანე-ცხოვრება ვახტ. გორგასლისა დაწერილი უნდა იყოს მე-8-ე საუკუნის მეორე ნახევარში. ლეონტი მროველის ნაწარმოები, რომლის შინაარსს იგივე „მეფეთა ცხოვრება" აქვს მთავარ საფუძვლად უნდა იყოს კომპილიატიური და მექანიკურად შესრულებული საისტორიო თხზულება, რომელშიაც შეტანილია ძველი მეფეთა ცხოვრებიდან ქრისტიანობის დამკვიდრების შესახები ცნობები და მე-9-ე საუკ. მეორე ნახევარში არსებული წმ. ნინოს ცხოვრებაც. ლეონტი მროველი, კაკაბაძის აზრით, უნდა იყოს მე-10-ე საუკ. დასაწყისის მოღვაწე.

ავტორს წამოყენებული აქვს ბევრი მეტად საყურადღებო საკითხები და გადაგვიშლის ახალ გზებს საისტორიო დარგში კვლევა-ძიებისათვის.

სამწუხაროდ, ავტორი რამდენად ძლიერია წმიდა საისტორიო პრობლემების გარკვევაში, იმდენად სუსტია იმ ენათა ცოდნაში, რომლებიც აუცილებლად საჭიროა ზოგიერთი რეალიების გასაშუქებლად.

ასე, მაგალითად, ავტორმა არ იცის, რომ „დაშტი" სომხურია და არა სპარსული (იხ. გვ. 153), მეჯლიში (vesp. ბროს. მეჯლისი) არაბული და არა სირიული (იხ. გვ. 153, სტრ. 27.) და (ნიშნავს ნადიმს, ან კრებას და არა ნებართვას, ან თავისუფლებას იხ. იქვე, სტრ. 29—30), ზაჰმი—სპარს. Sahm) და არა ასურული Ṣamaru). ზაჰმი ჰნიშნავს შიშის ზარს, ძრუანტელს და არა ყვირილს (იხ. გვ. 154, სტრ. 6)—(გაასწორეთ ჩემს ვეფხის ტყაოსნის ლექსიკონში ზამი, სადაც უნდა იყოს სპარს. საჰმ და არა შეცდომით დასტამბული სპ. ზაამ—ზამი)—იგივე მნიშვნელობა. ავტორმა არ იცის აგრეთვე, რომ მუქარა არის ნამდვილი არაბული სიტყვა და აღნიშნავს პირისპირ ბრძოლას, **поединок, единоборство**, შემდეგ კი მუქარას. ამგვარი შეცდომები და საზოგადოდ, წინდაუხედავი აზრები ძალიან ხშირად ხვდება ზ. კაკაბაძის ამ საინტერესო წიგნში.

ი. აბულაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

1924 წ. მარტის 3

რაფინად შაქარზე სააქციზო განაკვეთის შემცირების შესახებ.

მტკიცე საქციზო განაკვეთის საჩერვონეცო ანგარიშით გამოყვანის შესახებ ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წ. ნოემბრის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების (ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. კანონთა და განკარგულებათა კრებული 1923 წ. მე-13 №-რი, მუხ. 248) მე-4 კარის ლიტერის მე-6-ე მუხლის შესაცვლელად—ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ზემოაღნიშნული დადგენილების მე-4 კარის ლიტერი ა მე-6 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით: პარხლის კრისტალისებური შაქრის ფხვნილი და რაფინად-შაქარი—ოთხი მანეთის რაოდენობით ფუთზე ან ოცდაოთხი (24) კაპ. კილოგრამზე.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
აგამალი-ოღლი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერი
ა. შავერდოვი.

დეკრეტი

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

1924 წ. მარტის 3

საფილატელო მასალის გადაცემის შესახებ ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატებისათვის.

რათა გაძლიერებულ იქნას ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატების სალსარი, **ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს.**

1. გადაეცეს რესპუბლიკანური სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატებს —კუთვნილებისამებრ—რესპუბლიკების სახელმწიფო ორგანოებში ქონებული ყველა მარაგი საფილატელო მასალისა, სამუზეუმო ფონდის გარდა, და მიეცეს მათ განსაკუთრებული უფლება ამა მასალის რეალიზაციისათვის.

2. საფილატელო მასალის რეალიზაციით შემოსული ყოველი თანხა შეტანილ უნდა იქნეს ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროებში და ჩაირიცხოს სათანადო რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის დეპოზიტში.

3. მიენდოს ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს—გამოსცეს ინსტრუქცია ამა დეკრეტის აღსრულებისათვის.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
აგამალი-ოღლი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერი
ა. შავერდოვი.

დადგენილება № 14

ამიერ-კავკასიის სოციალ. ფედერ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

1924 წ. მარტის 1

ასმილიონიანი და ორას ორმოცდაათი მილიონიანი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნების სახმარებლად გამოშვების შესახებ.

რადგანაც სავაჭრო-სამრეწველო აღებმიცემობა საჭიროებს დიდი კუპიურის ფულის ნიშნებს—გამოშვებულ იქნეს სახმარებლად ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნები **ასი და ორას ორმოცდაათი მილიონიანი** ღირსებისა იმ საფუძველზე, რაც დაწესებულია ამიერ-კავკასიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს 1923 წ. იანვრის 10-ს დადგენილებით—ამიერ-კავკასიის ერთიანი ფულის ნიშნის სახმარებლად გამოშვების შესახებ.

ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნების ზემოაღნიშნული კუპიურები გამოშვებულ იქნეს ახალი, 1924 წლის, სახისა ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახელით, ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა და ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის ხელისმოწერით.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპ. სახალხო კომის. საბჭ. საქმეთა მმართველი ნ. ივანიშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. საბჭოთა რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის დროებითი აღმსრულებელი
ს. ლეკიშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ცენტრალურ პარტიულ კლუბის გამგეობის მორიგი სხდომა, რომელიც არ შესდგა, გაიმართება ხუთშაბათს, 6 მარტს, საღამოს 6 საათზე პარტიული კლუბის შენობაში.

სავალდებულოა კლუბის შემდეგი წევრების გამოცხადება:

1. ტაკოევის, 2. მარიამ ორახელაშვილის, 3. სარდიშვილის, 4. კოგანის, 5. რახმანის, 6. ხაჭაპურიძის და ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების წარმომადგენლის.

ცენტრალურ პარტიულ კლუბის გამგეობის მდივანი: იზმაილოვი.

შაბათს, 8 მარტს, საღამოს 6 საათზე, ცენტრალურ პარტიულ კლუბში შესდგება **ლენინიზმის შემსწავლელი წრის** (დაბალი ტიპის) **ორგანიზაციული კრება.**

სავალდებულოა ყველა იმ ამხანაგების გამოცხადება, რომლებიც ჩაწერილი არიან ამ წრეში.

მოწვეული არიან აგრეთვე ის პარტიული ამხანაგები, რომელთაც სურთ მონაწილეობის მიღება წრის მუშაობაში.

პარტიული კლუბის გამგეობა.

საინჟინრო და სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტების კომპარტიის და ახკომკავშირის იაჩეიკების დახურული სხდომა გაიმართება პარასკევს 7 მარტს, საღამოს 6 საათზე საინჟინრო ფაკულტეტის 3-ე კურსის სახაზავ აუდიტორიაში.

კომპარტიის და ახკომკავშირის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

იაჩეიკების ბიურო.

ხუთშაბათს, 6 მარტს, საღამოს 6 საათზე, ცენტრალურ პარტკლუბში მოწვეულია ლიტერატურულ-სამხატვრო სექციის თათბირი.

სექციის ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

მოწვეულნი არიან აგრეთვე ის ამხანაგები, რომელთაც აინტერესებთ ლიტერატურულ-მხატვრული მუშაობა.

პარტკლუბის გამგეობა.

კვირას 9 მარტს, დილის 11 საათზე საქართველოს კომპარტიის ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში მოწვეულია თათბირი კომპარტიის და საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის ყველა იმ ბერძენ წევრების და კანდიდატების, რომელნიც ტფილისში სცხოვრობენ.

საქართველოს კომპარტიის ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

ხუთშაბათს, 6 მარტს, საღამოს 5 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში დანიშნულია განათლების მუშაკთა კავშირის მეორე რაიონის წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგში: 1) მოხსენება სრ. საქართველოს მესამე ყრილობის შესახებ. 2) ადგილკომის მოხსენების ანგარიში, 3) ადგილკომის რეორგანიზაცია, 4. ადგილკომის არჩევნები (1 ადგილკომი—ბელინსკის ქუჩიდან სახ. უნივერსიტეტამდე, მეორე ადგილკომი როზენის ქუჩიდან ბელინსკის ქუჩამდე).

პროფესიული.

განათლების მუშაკთა სახლში.

— ხუთშაბათს, 6 მარტს, საღამოს 6 საათზე შესდგება სკოლასთან არსებულ საბავშვო ბაღის ხელმძღვანელთა კრება.

— პარასკევს, 7 მარტს, საღამოს 6 საათზე, შესდგება არა ქართულ სკოლების ქართულ ენის მასწავლებელთა კრება.

— ამავე დღეს, საღამოს 7 საათზე, შესდგება რიგ გარეშე მათემატიკური წრის (სომხ. ენაზე) სხდომა. 1) ახლო მომავალ მუშაობის გეგმა, 2) შახბაზიანის მოხსენება: ფარდითი რიცხვებზე დიაგრამების საშუალებით ოთხი მოქმედება მე 5 ჯგუფში.

— კვირას, 9 მარტს, საღ. 7 ნახ. საათზე მუსულმან-პედაგოგების წრის სხდომა. 1) კაჯარის მოხსენება „შრომა სკოლაში", 2) მომავალ მუშაობის გეგმა, 3) მიმდინარე საქმეები.

— პარასკევს, 7 მარტს, საღ. 6 საათზე საბჭოთა აღმშენებლობის შესწავლის საორგანიზაციო წრის სხდომა დ. კ. გურგენიძის ხელმძღვანელობით (ქართულ ენაზე).

განცხადებები

ღრმად დამწუხარებულნი ძმები შალიკო (ისიდორე) და საშა (ალექსანდრე), დები: ანნა და თამარ ტოროშელიძეები, საქმრო გიორგი ენუქიძე, მული ნინუცა, ნათლიები სონია და სოსო ჩიხრაძეები, ბიძაშვილი იპოლიტე ტოროშელიძე ცოლშვილით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ძვირფას და საყვარელ

ბაბილინა იაგორის ასული ტოროშელიძის

უდროო გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება 6 მარტს ხუთშაბათს, წმ. ნინოს სასაფლაოზე, გამოსვენება 3 საათზე საკუთარი ბინიდან ნაძალადევი-ჩირქეზიშვილის ქ. № 199.

1—1 625

ვ. ი. ლენინის სახელობ.
საოპერო თეატრი

დღეს, ხუთშაბათს 6 მარტს
პრემიერა
ლ ა კ მ ე
ხვალ, 7 მარტს ჰუგენოტები
შაბათს, 8 მარტს წარმოდგენა
პროფკავშირების წევრებთათვის
კვირას, სოფლის პატიოსნება
ბ ა ლ ე ტ ი

1—1

დადგენილება № 5.

საქართველოს ს. ს. რ. შინა-ვაჭრობის კომისიისა.

1924 წ. მარტსა 3 დღესა.

დამატებით მე-4-ე №—დადგენილებისა წინადადება ეძლევა ყველა იმათ, ვინც აწარმოებენ წვრილმან ვაჭრობას პირველ მოთხოვნილების საგნებით საქართველოს ს. ს. რ. ფარგლებში, გამოკიდონ თვალსაჩინო ადგილზე ქართულ-რუსულ ენებზე იმ საქონელთა სია, რომელიც გამოქვეყნებული იყო მე-4-ე №—დადგენილებაში, შევსებული ბრინჯის, კარტოფილის და ლობიოს ფასებით. ზემოაღნიშნული დადგენილებები № № 4—5 აჭარისტანში და აფხაზეთში გატარდეს ცხოვრებაში სრულის სისწორით ადგილობრივი შინა-ვაჭრობის კომისიების ზედამხედველობით, ხოლო რესპუბლიკის დანარჩენ ქალაქებში, დაბებში და სოფელში ადგილობრივი კომისიების საშუალებით.

საქ. ს. ს. რ. შინა-ვაჭრობის კომისიის თავმჯდ. ჰაჭკოვი.
მდივანი ზედქანია.

ნ. 937 1—1

ქუთაისი
ფილიპოვის სავაჭრო
(აკაკი წერეთლის ქუჩაზე)
მიღებულია ელექტრონით გასანათებელი ყოველგვარი მასალები გერმანიის ეკონომიური ლამპოჩკები და იყიდება ძლიერ ხელმისაწვდომ ფასებში
იგივე სავაჭრო ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას ელექტრონის მასალის და მანქანებისას სწრაფი ჩაბარებით.

კრ. 920 15—4

პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

---

6 მარტიდან მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ღვინოების ფასებში ცვლილება მოხდა.

=დაკლებულია ფასები=

კონიაკზე და შამპანიურზე

შეცვლილია

პ რ ე ი ს-კ უ რ ა ნ ტ ი

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სახალხო ღვინის საწყობისა.

ნაფარეული	№№ 66 და 47	აქციზით	45	კ. ბოთლი
წინანდალი	„ 64 და 45	„	60	„ „
მუკუზანი	„ 65 და 46	„	45	„ „
თელიანი	№ 44	„	40	„ „
აფხანაური	№№ 55 და 75	„	35	„ „
სასადილო	№ 22	„	35	„ „
„	№ 18	„	30	„ „
1917 წ. და უფრო ძველი ღვინოები			2 მან. —	„
შამპანიური 1 მ. 50 კ. და აქციზი 1 მ. . 35 კ.			2 „ 85	კ. „
კონიაკი 1 მ. 25 კ. და აქციზი 35 კ.			1 მან. 60	„ „
ცარიელი ყუთი ჩაწყობით			2 „ 50	„ „
კონიაკის და ღვინის ცარიელი ბოთლი			— — 15	„ „
შამპანიური ცარიელი ბოთლი			— — 20	„ „

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის (ყოფ. საუფლისწულო უწყების) ღვინოები ნატურალური და დაცდილია.

ჩაქვის ჩაი ნატურალური ჩინეთის ბუჩქების პროდუქტი საბითუმო მოთხოვნილება უნდა გაიგზავნოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში.

ნ. 934 2—1

ქ. ტფილისის მე 6 და მე 7 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი

კ. ძამოევი ამით აცხადებს, რომ 11 მარტს 1924 წ. დილის 11 საათზე დანიშნულია გასასყიდათ საჯარო ვაჭრობით მოქალაქის სედრაკ ყაზარის ძის არუთინოვისუძრავი მამული, რომელიც მდებარეობს ქ. ტფილისის მე7 უბანში კარმირ ავეტრანის (უბანი) და შესდგება შენობებისაგან და შენობების ქვეშ მიწის ნაჭრისაგან, ზომით დაახლოვებით 36 ოთხკუთხი საჟენი, შემდეგ მიჯნებში: აღმოსავლეთით—არუთინოვის სახლი, დასავლეთით და ჩრდილოეთით ბახშო არუთინოვის მამული და შესახვევი და სამხრეთით—ფერისცვალების ქუჩა. მამული ეს აწერილია გასასყიდათ და დასაკმაყოფილებლად ვალისა საქ. კოოპერბანკისა თანახმად ქ. ტფილისის მე 7 უბნის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებისა გასულ წლის 7 სექტემბრის დღისა, რომელიც აღნიშნულია აღმასრულებელ ფურცელში № 1269 და რომლითაც ბანკს მისჯილი აქვს 742 ჩერვონეცი. მამული ეს შეფასებულია 10 ჩერვონცათ. ვაჭრობა მოხდება დილის 11 საათზე, ქ. ტფილისში, ფერისცვალების ქუჩა, სადაც იმყოფება ზემოხსენებული ქონება, გასაყიდ მამულის შესახებ ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე სასამართლოს აღმასრულებლის კამერაში (სურპ-კარაპეტის ხევი № 3) დილის 9 საათიდან 11 საათამდის. იმ პირთ, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარუდგინონ სასამართლოს აღმასრულებელს ძამოევს კომუნალურ განყოფილებიდან ცნობა იმის შესახებ, რომ არ ჰფლობენ ქ. ტფილისში რაიმე შენობას.

სასამართლოს აღმასრულებელი კ. ძამოევი.

კრ. № 938 1—1

ამინდი ამიერ-კავკასიაში

4 მარტი დილის 7 საათი

ტემპერატურა (ცელსიით): სოხუმი... 4 გრ., ფოთი... 3 გრ., ბათომი... 4 გრ., სამტრედია... 3 გრ., აჯამეთი... 0 გრ., ჭიათურა... 1 გრ., წიფა... 3 გრ., ბორჯომი... [illegible] გრ., სურამი... 2 გრ. მუხრანი... 0 გრ., ტფილისი... 2 გრ., მუკუზანი... 0 გრ., ერევანი... 1 გრ. ბაქო... 1 გრადუსი.

ღრუბლიანობა: ყოველგან მოღრუბლულია.

ქარის ქროლა: ფოთში—აღმოსავლეთის, ნელი. ბაქოში—ჩრდილოეთის. დანარჩენ ადგილებში ნელი ან სულ არ ქრის.

ნალექი: სოხუმში—წვიმა საღამოს; ფოთში—წვიმა დღით, ბათომში—წვიმა დღით, ღამით. წიფაში—თოვლი დღით; ბორჯომში—თოვლი დღით, საღამოს. თოვლი სურამშიაც ამავე დროს. მუხრანში—თოვლი დილით, საღამოს, ღამით. ტფილისში—თოვლი დილით. მუკუზანში—წვიმა დღით, საღამოს, თოვლი დილის 7 საათზე, ერევანში—თოვნა დღით, ღამით, ბაქოში—წვიმა თოვლი დილით.

ზღვის მდგომარეობა ნაპირებთან. ფოთში—ნელი ღელვა. ბათომში—სიწყნარეა. ბაქოში—ნელი და ლენქორანში—ზომიერი ღელვა.

ამინდი საქართველოში: მოღრუბლულია, არის ნალექი. აღმოსავლეთ საქართველოში—ალაგ-ალაგ ჰყინავს.

ჩრდილოეთ-კავკასია.

4 მარტი დილის 7 საათი.

კავკავი. ტემპერატურა:— 5 გრ. მოღრუბლულია, ქრის დასავლეთის ნელი ქარი, თოვლი დღით, საღამოს და დილის 7 საათზე.

კიზლიარი. ტემპერატურა:—4 გრ. მოღრუბლულია, ქარი არ ქრის.

ტფილისი

5 მარტი. დღის 1 საათი.

ტემპერატურა: 5 გრ., მოღრუბლულია, ქრის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნელი ქარი; ნელი წვიმა დილით და დღის 1 საათზე.

ეტცრ ცენტრალური რაიონის სახელმწიფო ელექტრო-ტეხნიკური ტრესტი.

ტფილისის საპროექტო-სამონტაჟო განყოფილება

რუსთაველის პროსპექტი, 19, ტელეფ. № 1—55. სატელეგრაფო მისამართი: „ეტეცერ".

ტრესტი ამოცანები და მოქმედების სფერო

ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო, დამმუშავებელ და სხვა სახის მრეწველობის **ელექტროფიკაცია.**

ცენტრალურ და სოფლის ელექტრონის სადგურების: ორთქლის, სითბოს და ჰიდრავლიკური სადგურების **აგება.**

ქვეყნის დაწესებულებებისა, წარმოებებისა და აგრეთვე კერძო პირებისათვის ელექტრო-ტეხნიკურ მრეწველობის პროდუქტების **მიწოდება.**

ელექტრონის სადგურების, მანქანების და ხელსაწყოების შეკეთება და ყოველგვარი სამონტაჟო სამუშაობების **შესრულება.**

პროექტების და ხარჯთაღრიცხვების **შედგენა.**

კონსულტაცია და ექსპერტიზა ელექტროტეხნიკის საკითხებზე.

განყოფილებასთან მოწყობილია მაღაზია და საბაზისო საწყობი.

საქონლის შეძენა შეუძლია კერძო პირებსაც.

ფასები საბითუმოა

მიწოდების საქმის გეგმაშეწონილ ორგანიზაციისა და სათანადო დონეზე დაყენებისათვის, სახელმწიფო დაწესებულებებს და წარმოებებს, კოოპერატიულ გაერთიანებებს და კომუნალურ მეურნეობებს ვსთხოვთ აცნობონ განყოფილებას თავის საჭიროებების შესახებ თავის დროზე.

ნ. 925 4—3.

ცარიცინის სახელმწიფო **„ცარპაიტორგ"** სავაჭრო გაერთიანება.

ტფილისის განყოფილება: თავისუფლების მოედანი ტელ. 17—17.

ლურსმნები, რკინეულობა ყოველნაირი, **ბოლტები, ზაკლიოპკები, ასფალტი, ოლიფა, ხარეპტის მდოგვი** (გარცია), **ტყავეულობა.**

ფასები შესამჩნევად დაკლებულია.

სახელმწიფო ორგანოებსა და კოოპერაციას განსაკუთრებული შეღავათი.

რწმუნებული საქართველოსა და სომხეთში ფ. ბეთანელი.

ელექტრონის და სინათლის

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

126—25—3

ე ქ ი მ ი

კ. გ. ვ ა რ თ ა ნ ო ვ ი

სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღებულობს დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად.

499—25—19

ქ. ტფილისის გაწვევის უბნებზე მისაწერ მოქალაქეთა გასაწვევ სიებში შეტანის რიგის

დამაწესებელი კომისიის სხდომები სწარმოებს აღმასკომის შენობაში ყოველდღიურად 5—7 საათამდე (ოთახი № 55). შესავალი ველიამინოვის ქ. № 3-დან. იქვე მიიღება მოქალაქეთა ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობის გამო შეღავათით სარგებლობის შესახებ განცხადებანი—სათანადო საბუთებით.

კომისიის თავმჯდომარე გ. ბახტაძე.

წინადადება ეძლევა მოქ. ვიქტორ ვარლამის ძე ხარაბაძეს, რათა მან გაასწოროს თავისი ანგარიშები ქალ. ქუთ. მინა ტყაპლაძის მაღაზიის, ან ტფილისის ბეჭდვით ექსპედიციაში ან აქვე ქუთაისში ერთი კვირის ვადაში დღიდან გამოცხადებისა ამას გარდა გაუქმებულად ითვლება მისი პირადი მანდატი, რომელიც არის ჩემს მიერ მიცემული.

სახ. გამომც. „ზარია ვოსტოკა"-სი, ბეჭდვითი ექსპედიციის გაზეთ „მუშას" კონტრაგენტი მ. ტყაპლაძე.

ნის. 3—1 932

დაკარგულია სახლის დავთარი გურასპაშვილი ზაქარია თედორის ძის სახლისა, რკინის გზის ლიანდაგ-გადაღმა მე-8-ე კომისარიატში. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 622

დავკარგე აღრიცხვის მოწმობა მეორე კომისარიატის სამხედრო მაგიდის უფროსისაგან დავით სამსონის ძე ლუარსაბაშვილის სახელზე გაცემული. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1—1 623

„ზარია ვოსტოკას" სტამბა, საშა წულუკიძის ქუჩა № 4.